



აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საგანმანათლებლო  
პროგრამების კლასტერის შესახებ

„ისტორიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა; „არქეოლოგიის“  
საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა; „არქეოლოგიის“ სამაგისტრო  
საგანმანათლებლო პროგრამა; „თანამედროვე საქართველოს ისტორიის“ სამაგისტრო  
საგანმანათლებლო პროგრამა; „შუა საუკუნეების კვლევების“ სამაგისტრო  
საგანმანათლებლო პროგრამა; „ისტორიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა;  
„არქეოლოგიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა.

სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი: 21-22, 24-25 ნოემბერი

დასკვნის წარდგენის თარიღი: 07 თებერვალი, 2023

თბილისი

## შინაარსი

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ.....	4
II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგამებელი დასკვნა .....	6
III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან .....	11
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა .....	11
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა .....	35
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა.....	51
4. სასწავლო რესურსებით უზრუნველყოფა.....	58
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობანი .....	82

**ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ**

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მიითითებთ	ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი საჯარო სამართლის იურიდიული პირი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	204861970
ინსტიტუციის ტიპი	უნივერსიტეტი

**ექსპერტთა ჯგუფის წევრები**

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	დიამანტის პანაგიოტოპულოსი, ჰაიდელბერგის უნივერსიტეტი, გერმანია
წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	თეიმურაზ პაპასკირი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	მერაბ ჭუმბურიძე, სსიპ - აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ლევან ჭაბაშვილი, შპს საქართველოს უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	თამთა ცხოვრებაძე, შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	თათია უბერი, შპს კავკასიის უნივერსიტეტი, საქართველო

## I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ

	პროგრამა 1	პროგრამა 2	პროგრამა 3	პროგრამა 4	პროგრამა 5	პროგრამა 6	პროგრამა 7	პროგრამა 8
საგანმანათლებლო სახელწოდება	ისტორია (ძირითადი და დამატებითი)	არქეოლოგია (ძირითადი და დამატებითი)	არქეოლოგია	თანამედროვე საქართველოს ისტორია	შუა საუკუნეების კვლევები	ისტორია	არქეოლოგია	
უმაღლესი განათლების საფეხური	აირჩიეთ შესაბამისი	აირჩიეთ შესაბამისი	აირჩიეთ შესაბამისი	აირჩიეთ შესაბამისი	აირჩიეთ შესაბამისი	აირჩიეთ შესაბამისი	აირჩიეთ შესაბამისი	აირჩიეთ შესაბამისი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ისტორიის ბაკალავრი	არქეოლოგიის ბაკალავრი	არქეოლოგიის მაგისტრი	ისტორიის მაგისტრი	შუასაუკუნეების კვლევების მაგისტრი	ფილოსოფიის დოქტორი ისტორიაში	ფილოსოფიის დოქტორი არქეოლოგიაში	
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0222 ისტორია და არქეოლოგია	0222 ისტორია და არქეოლოგია	0222 ისტორია და არქეოლოგია	0222 ისტორია და არქეოლოგია	0288 ინტერდისციპლინური - მოიცავს ჰუმანიტარულ მეცნიერებებს	0222 ისტორია და არქეოლოგია	0222 ისტორია და არქეოლოგია	
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება <sup>1</sup>								
სწავლების ენა	ქართული	ქართული	ქართული	ქართული	ქართული	ქართული	ქართული	
ECTS კრედიტების რაოდენობა	240 ECTS კრედიტი	240 ECTS კრედიტი	120 ECTS კრედიტი	120 ECTS კრედიტი	120 ECTS კრედიტი	42 ECTS კრედიტი	42 ECTS კრედიტი	

<sup>1</sup> მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

<p>პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/არაკრედიტებული/ პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მიმართებით (ნომერი, თარიღი)</p>	აკრედიტებული	აკრედიტებუ ლი	აკრედიტე ბული	აკრედიტ ებული	აკრედიტებულ ი	აკრედიტებუ ლი	აკრედიტებული	
--	--------------	------------------	------------------	------------------	------------------	------------------	--------------	--

## II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის კლასტერის შესახებ<sup>2</sup>**

კლასტერული აკრედიტაცია მოიცავდა ისტორიისა და არქეოლოგიის დისციპლინების შვიდ პროგრამას ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის საფეხურებზე. ამ პროგრამების უმეტესობა მათი აკრედიტაციის შემდეგ (ისტორია - ბაკალავრიატი, არქეოლოგია - ბაკალავრიატი, შუასაუკუნეების კვლევები - მაგისტრატურა, არქეოლოგია - მაგისტრატურა, ისტორია - დოქტორანტურა და არქეოლოგია - დოქტორანტურა) 2011 წლის სექტემბრიდან ხორციელდება. სამაგისტრო პროგრამა „თანამედროვე საქართველოს ისტორია“ ახლახან დაემატა, აკრედიტაცია 2020 წელს გაიარა და ამოქმედდა. არქეოლოგიის პროგრამები ყველა საფეხურზე მოიცავს ძალიან ფართო თემატურ და მეთოდოლოგიურ დიაპაზონს. ისტორიაში, მაგისტრატურაში არის ორი პროგრამა (თანამედროვე საქართველოს ისტორია და შუა საუკუნეების კვლევები), რომელიც უზრუნველყოფს დისციპლინის შესწავლის ორ განსხვავებულ შესაძლებლობას გამორჩეული თემატური ფოკუსით. ყველა პროგრამა მჭიდრო კავშირშია მათი თანმიმდევრული სტრუქტურისა და ორივე დისციპლინის ერთმანეთთან მჭიდრო ურთიერთობის გამო. ისინი, აგრეთვე, იზიარებენ მიზანს, სტუდენტებს მიაწოდონ მაღალი დონის თეორიული და პრაქტიკული ცოდნა ისტორიასა და არქეოლოგიაში, ისევე როგორც აუცილებელი რბილი უნარები წარმატებული კარიერისათვის აკადემიაში ან თუნდაც მის ფარგლებს გარეთ.

- **აკრედიტაციის ადგილის დათვალიერების მიმოხილვა**

აკრედიტაციის პროცედურა ჩატარდა 2022 წლის 21, 22, 24 და 25 ნოემბერს. განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შესანიშნავად ორგანიზებული და უნივერსიტეტის ყველა წარმომადგენლის (სწავლებაში ჩართული პერსონალი, სტუდენტები, თანამშრომლები) ჩართული თანამშრომლობის გამო, რომლებმაც აკრედიტაციის ჯგუფის წევრებს ყველა საჭირო ინფორმაცია მიაწოდეს, აკრედიტაციამ ჩაიარა შეუფერხებლად და თავდაპირველი განრიგიდან რაიმე მნიშვნელოვანი გადახრის გარეშე. მიუხედავად იმისა, რომ ყველა შეხვედრა გაიმართა ჰიბრიდულ ფორმატში და ორ ენაზე (ქართული და ინგლისური), ტექნიკური და ორგანიზაციული პრობლემები არ ყოფილა.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

ადგილზე დათვალიერების, ინტერვიუებისა და შესაბამისი დოკუმენტების შესწავლის შემდეგ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფი დარწმუნდა, რომ ცალკეული პროგრამები და მთლიანობაში კლასტერი სრულად შეესაბამება აკრედიტაციის არსებულ სტანდარტებს. ეს შესაბამისობა შეფასების ქვეშ მყოფ ყველა კომპონენტს მოიცავს.

<sup>2</sup> პროგრამებთან დაკავშირებული ზოგადი ინფორმაციის მიმოხილვისას, მიზანშეწონილია ასევე წარმოდგენილი იყოს კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი

- **რეკომენდაციები**

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციები შემდეგია:

- პროგრამების პრაქტიკული კომპონენტის გაძლიერება „არქეოლოგიის“ საბაკალავრე დონეზე (განსაკუთრებით არქეოლოგიის შემთხვევაში).
- დაწესებულებამ უზრუნველყოს, რომ ცალკეული კურსების სილაბუსები „არქეოლოგიის“ საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებში შეიცავდეს განახლებულ ბიბლიოგრაფიას (განსაკუთრებით ქართულ და ინგლისურ ენებზე).
- ზოგიერთი კურსის სილაბუსში უნდა დაზუსტდეს ახალი სახელმძღვანელოები და მონოგრაფიები.
- ზოგიერთ კურსზე (არქეოლოგიის საფუძვლები, არქეოლოგიური ძეგლების სავლე და საოფისე შესწავლა) მითითებული უნდა იყოს რიდერის სახელწოდება.
- რეკომენდებულია შედარებით მოძველებული რუსულენოვანი ლიტერატურის ნაცვლად უფრო ახალი უცხოური ლიტერატურის გამოყენება. მაგალითად: Амальрик А.С., Монгайт А.Л. (ა.ს. ამალრიკი, ა.ლ. მონგაიტი) В поисках исчезнувших цивилизаций (გამქრალი ცივილიზაციების ძიებაში) Москва (მოსკოვი) 1959; **ადრეული რკინის ხანის არქეოლოგია** (ბაკალავრიატი); ესეები საქართველოს ისტორიაზე, ტ. I, თბ. 1970 შუა საუკუნეების არქეოლოგია (ბაკალავრიატი); ესეები საქართველოს ისტორიაზე, ტ. II, თბ. 1973; **არქეოლოგიის საფუძვლები** (ბაკალავრიატი) Монгайт А.Л. Археология Западной Европы (დასავლეთ ევროპის არქეოლოგია) Каменный век (ქვის ხანა) მ. 1973; **შესავალი საქართველოს არქეოლოგიაში** (ბაკალავრიატი); ესეები საქართველოს ისტორიაზე, ტ. I. თბილისი. 1970; ესეები საქართველოს ისტორიაზე, ტ. II. Tbilisi. 1973; **სავლე არქეოლოგია** (მაგისტრატურა) Авдусин Д., Археологические разведки и раскопки, М., 1959; Блаватский В., Античная полевая археология, М., 1967.
- ორივე სადოქტორო პროგრამაში სავალდებულო ტრენინგი "პერსონალური და პროფესიული განვითარების ცენტრი (PPDC)" უნდა გახდეს ასისტენტობის ნაწილი.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:**

- არქეოლოგიის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებზე მიღების წინაპირობებში სასურველია მიეთითოს, რომ პროგრამაში მობილობით ჩარიცხვა შესაძლებელია წელიწადში ორჯერ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილ ვადებში, სავალდებულო პროცედურებისა და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესების დაცვით.
- სასურველია სილაბუსებში სხვადასხვა ტიპის დავალებების შეფასების კრიტერიუმების ახსნა, რათა შეფასების სისტემა უფრო გამჭვირვალე და გასაგები გახდეს სტუდენტებისთვის. მაგალითად, ერთი და იგივე კომპონენტი შეიძლება შეფასდეს 16-დან 20 ქულამდე. ამ და მსგავს შემთხვევაში, მიზანშეწონილი იქნება ასეთი დიდი დიფერენციაციის თავიდან აცილება.
- ბოლო წლებში არქეოლოგიის პროგრამების აკადემიური პერსონალის მხოლოდ ნაწილმა მიიღო მონაწილეობა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში. მიზანშეწონილია აკადემიური პერსონალის წახალისება საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობის მისაღებად.

- თავად უნივერსიტეტის მიერ 2022 წელს ჩატარებული გამოკითხვიდან ჩანს, რომ აკადემიური პერსონალის მხოლოდ ნაწილი აქვეყნებს სტატიებს (Scopus) უცხოურ საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალებში და საერთაშორისო ბაზებში შემავალ რეფერირებად ჟურნალებში. რეკომენდებული იქნება უნივერსიტეტმა ამ მიმართულებით წახალისოს პერსონალი.
- ისტორიისა და არქეოლოგიის სადოქტორო პროგრამებში პოტენციურ სამეცნიერო ხელმძღვანელებად მითითებულნი არიან პროფესორ-მასწავლებლები, რომლებსაც შესაბამის დარგში განათლება მიღებული არ აქვთ. უმჯობესია, ამ პროფესორებს ჰქონდეთ თანახელმძღვანელის სტატუსი, მანამ, სანამ ისინი აჩვენებენ შესაბამის დარგში მათ გამოცდილებას უახლესი პუბლიკაციების სახით.
- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<sup>3</sup>**
  - ინფორმაცია უსდ-ს არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების არგუმენტაციის თაობაზე
  - ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. მირებულ იქნა გადაწყვეტილება, რომ ერთი რეკომენდაცია ამოღებული ყოფილიყო დასკვნოდან და შეცვლილიყო მეორე სტანდარტის საბოლოო შეფასება.
- **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

მათი პირველი აკრედიტაციის შემდეგ (უმეტეს შემთხვევაში 2011 წელს) და ასევე განხორციელების დროს, პროგრამების მიზნები, სწავლის შედეგები და სტრუქტურა სისტემატურად გადაიხედებოდა ხოლმე მიმდინარე საჭიროებებისა და ახალი სტანდარტების შესაბამისად. ეს ცვლილებები/გაუმჯობესებები მოიცავდა: ა)სავალდებულო, სავალდებულო/არჩევითი და არჩევითი კურსების დამატებას, ბ) არქეოლოგიის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებში პრაქტიკული კომპონენტის გაძლიერებას, გ)ორივე სადოქტორო პროგრამის ახალ დიზაინს, სადაც სასწავლო კომპონენტისთვის გამოიყო 42 ECTS კრედიტი და მკაფიო აქცენტი გაკეთდა კვლევის კომპონენტზე.

აკრედიტაციის ექსპერტთათვის შეფასების მიდგომები:

აკრედიტაციის სტანდარტების კომპონენტები ფასდება შემდეგი ორი მიდგომით:

<sup>3</sup> პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული, ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამისათვის/პროგრამებისთვის



1. კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება<sup>4</sup>
2. კლასტერული შეფასება<sup>5</sup>

სტანდარტი/კომპონენტი:	შეფასების მიდგომები:
<b>1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა</b>	
1.1. პროგრამის მიზნები	კლასტერული და ინდივიდუალური
1.2 პროგრამის სწავლის შედეგები	კლასტერული და ინდივიდუალური
1.3. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	კლასტერული
1.4 საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი	კლასტერული და ინდივიდუალური
1.5. სასწავლო კურსი/საგანი	კლასტერული და ინდივიდუალური
<b>2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა</b>	
2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	კლასტერული და ინდივიდუალური
2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო/ კვლევითი/ შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	კლასტერული
2.3. სწავლება-სწავლის მეთოდები	კლასტერული
2.4. სტუდენტის შეფასება	კლასტერული
<b>3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა</b>	
3.1. სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები	კლასტერული
3.2. მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა	კლასტერული
<b>4. სასწავლო რესურსებით უზრუნველყოფა</b>	
4.1. ადამიანური რესურსები	კლასტერული და ინდივიდუალური
4.2. მაგისტრანტისა და დოქტორანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია	კლასტერული და ინდივიდუალური

<sup>4</sup> შეფასების მიდგომები: აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ კლასტერში დაჯგუფებული თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა სტანდარტის შესაბამის კომპონენტის მოთხოვნებთან. ასევე, შეგიძლიათ მიუთითოთ საგანმანათლებლო პროგრამაზე ისეთი ინფორმაცია, რომელიც განსხვავებულია კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების ერთიანი და ძირითადი მახასიათებლებისაგან.

<sup>5</sup> შეფასების მიდგომები: საჭიროების შემთხვევაში აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ კლასტერში დაჯგუფებული თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა სტანდარტის შესაბამისი კომპონენტის მოთხოვნებთან. ასევე, შეგიძლიათ მიუთითოთ საგანმანათლებლო პროგრამაზე ისეთი ინფორმაცია, რომელიც განსხვავებულია კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების ერთიანი და ძირითადი მახასიათებლებისაგან.

4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება	კლასტერული
4.4. მატერიალური რესურსი	კლასტერული და ინდივიდუალური
4.5. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა	კლასტერული და ინდივიდუალური
<b>5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები</b>	
5.1. შიდა ხარისხის შეფასება	კლასტერული
5.2. გარე ხარისხის შეფასება	კლასტერული
5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება	კლასტერული

### III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

#### 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

##### 1.1 პროგრამის მიზნები

კლასტერის პროგრამების მიზნები და სწავლის შედეგები ეფუძნება კარგად გააზრებულ კონცეფციას, რომელიც მკაფიოდ არის განსაზღვრული და ეცნობება თანამშრომლებს და სტუდენტებს. შიდა შეფასების პროცესი შესანიშნავად არის ორგანიზებული და ეფექტური, რაც უზრუნველყოფს, რომ მიზნებიც და სწავლის შედეგებიც შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, ამოცანებსა და სტრატეგიულ გეგმას. ქვემოთ განხილული ცალკეული პროგრამები ერთმანეთთან მჭიდრო კავშირშია და ვითარდება რეგულარული შეფასებების მეშვეობით, როგორც ერთი მთლიანობის ნაწილები. ისინი მიზნად ისახავს როგორც საგნობრივი კომპეტენციების, ასევე ტრანსფერული უნარების გადაცემას, რომლებსაც თითოეულ საფეხურზე განსხვავებული აქცენტი აქვთ. საბაკალავრო პროგრამები ცდილობს მიაწოდოს საბაზისო ცოდნა ისტორიასა და არქეოლოგიაში ფართო ქრონოლოგიურ და გეოგრაფიულ დიაპაზონში. სამაგისტრო პროგრამებს აქვს გამოხატული აქცენტი სპეციალიზაციაზე შესაბამის დარგებში და აერთიანებს კონკრეტული საგნების სიღრმისეულ ცოდნას თეორიულ და მეთოდოლოგიურ საკითხებთან. და ბოლოს, სადოქტორო პროგრამების მთავარი მიზანია ხელი შეუწყოს დამოუკიდებელ და ინოვაციურ კვლევას, ინტერდისციპლინურობას და მეცნიერული ცოდნის ფართო აუდიტორიისთვის ხელმისაწვდომობას.

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის

შეფასება და ანალიზი

პროგრამა 1 – საბაკალავრო პროგრამა ისტორიაში

ისტორიის საბაკალავრო პროგრამა მიზნად ისახავს მოამზადოს სპეციალისტები, რომლებსაც ექნებათ:

- „ზოგადი ცოდნა საქართველოსა და მსოფლიო ისტორიის შესახებ;
- ისტორიული მოვლენების კრიტიკულად შეფასების, მათი ანალიზისა და ინტერპრეტაციის უნარი წარსულის რეკონსტრუქციისა და გადაფასების მიზნით;
- ძირითადი კვლევის უნარები, მათ შორის პირველად და მეორად წყაროებზე მუშაობის, საკვლევი კითხვის განსაზღვრისა და მასზე პასუხის გაცემის უნარი ნასწავლი მეთოდების გამოყენებით;
- აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების და თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით, პირადი არგუმენტებისა და შეხედულებების კომუნიკაციისა და დაცვის უნარი.

პროგრამის მიზნები სრულ შესაბამისობაშია უნივერსიტეტის მისიასა და მიზნებთან, და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტრატეგიულ გეგმასთან. ისტორიის საბაკალავრო

პროგრამაზე სწავლისას მიღებული უნარები კურსდამთავრებულს საშუალებას მისცემს იყოს კონკურენტუნარიანი შრომის ბაზარზე ან განაგრძოს სწავლა უმაღლესი განათლების შემდგომ საფეხურზე - მაგისტრატურაზე.

### **პროგრამა - 2. საბაკალავრო პროგრამა არქეოლოგიაში;**

**აღწერა** - არქეოლოგიის საბაკალავრო პროგრამა მიზნად ისახავს სპეციალისტის მომზადებას, რომელსაც, საბაზისო არქეოლოგიურ უნარებთან ერთად, ექნება არქეოლოგიის ზოგადი და ფართო ცოდნა, რათა შეისწავლოს საქართველოსა და მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონის წარსული კონკრეტულ დროსა და სივრცეში (კავკასია, ახლო აღმოსავლეთი, ხმელთაშუა ზღვის ქვეყნები). გარდა ამისა, პროგრამა ავითარებს მნიშვნელოვან ტრანსფერულ უნარებს დასაქმებისა და შემდგომი სწავლისთვის, როგორცაა ინდივიდუალური და ჯგუფური მუშაობის უნარი, კრიტიკული ანალიტიკური აზროვნება და მსჯელობა, ეფექტური ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციის უნარი აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით და თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით.

**ანალიზი** - საბაკალავრო პროგრამის მიზნები შეესაბამება განათლების საფეხურს, არის საჯარო, ხელმისაწვდომი, რეალისტური და მიღწევადი. გარდა ამისა, ისინი ნათლად განსაზღვრავენ, თუ რა ცოდნა, უნარები და კომპეტენციები უნდა მიიღოს არქეოლოგიის კურსდამთავრებულმა. პროგრამა ითვალისწინებს არქეოლოგიის დარგობრივი მახასიათებლით განსაზღვრული სასწავლო დარგის თავისებურებებს, ასევე ეროვნული კვალიფიკაციის ჩარჩოს VI დონის კვალიფიკაციის აღმწერის მოთხოვნებს და „0222 ისტორია და არქეოლოგია“ დეტალური სფეროს შინაარსს, რომელიც განსაზღვრულია სწავლის სფეროს კლასიფიკატორის III მუხლით. პროგრამა შემუშავებულია შრომის ბაზრისა და დამსაქმებლების მოთხოვნების შესაბამისად. სწავლის პროცესში გამომუშავებული უნარ-ჩვევები კურსდამთავრებულს საშუალებას მისცემს დასაქმდეს შემდეგში: კულტურის სფეროს სახელმწიფო და კერძო სტრუქტურებში; კერძო და სახელმწიფო მუზეუმებსა და გალერეებში; კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოში; კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში; შესაბამისი პროფილის არასამთავრობო ორგანიზაციებში; ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ განხორციელებულ არქეოლოგიურ პროექტებში; კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ხელშეწყობისა და საგანმანათლებლო პროგრამებში; ტურიზმში; მასმედიაში და სხვა. კურსდამთავრებულებს ასევე შეუძლიათ სწავლის გაგრძელება უმაღლესი განათლების შემდეგ საფეხურზე - მაგისტრატურაში.

### **პროგრამა - 3. სამაგისტრო პროგრამა არქეოლოგიაში**

**აღწერა** - პროგრამის მიზანია მოამზადოს არქეოლოგიის დარგში კონკურენტუნარიანი სპეციალისტი, რომელიც ფლობს: კომპლექსურ თეორიულ ცოდნას კავკასიის რეგიონის არქეოლოგიასთან დაკავშირებით; კავკასიის რეგიონის წარსულთან დაკავშირებული ორიგინალური კვლევითი საკითხის განსაზღვრის, არქეოლოგიური კვლევის დამოუკიდებლად განხორციელების და მისი შედეგების გაზიარების უნარი; საველე და ლაბორატორიაში მუშაობის, არქეოლოგიური მასალის შეგროვების, ანალიზისა და ინტერპრეტაციის უნარი; პროფესიული და კვლევის ეთიკის პრინციპების დაცვის უნარი.

**ანალიზი** - სამაგისტრო პროგრამის მიზნები შეესაბამება განათლების საფეხურს და არის საჯარო, ხელმისაწვდომი, რეალისტური და მიღწევადი. ისინი ნათლად ასახავენ, თუ რა ცოდნა, უნარები და კომპეტენციები უნდა ჰქონდეს ამ საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულს. ისინი ითვალისწინებენ არქეოლოგიის დარგობრივი მახასიათებლით განსაზღვრული სწავლის სფეროს თავისებურებებს, აგრეთვე ეროვნული კვალიფიკაციის ჩარჩოს VII დონის კვალიფიკაციის აღმწერის მოთხოვნებს და „0222 ისტორია და არქეოლოგიის“ დეტალური სფეროს შინაარსს, რომელიც განსაზღვრულია სწავლის სფეროს კლასიფიკატორის III მუხლით. პროგრამა შემუშავებულია შრომის ბაზრის (მათ შორის საერთაშორისო) და დამსაქმებელთა მოთხოვნების შესაბამისად. სწავლის დროს გამოიყენებული უნარ-ჩვევები კურსდამთავრებულს საშუალებას მისცემს დასაქმდეს კულტურის სფეროში სახელმწიფო და კერძო სტრუქტურებში; კერძო და სახელმწიფო მუზეუმებსა და გალერეებში; კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოში; კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში; შესაბამისი პროფილის არასამთავრობო ორგანიზაციებში; ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ განხორციელებულ არქეოლოგიურ პროექტებში; კურსდამთავრებულებს ასევე შეუძლიათ სწავლის გაგრძელება სადოქტორო პროგრამებზე.

#### **პროგრამა 4 – სამაგისტრო პროგრამა თანამედროვე საქართველოს ისტორიაში**

თანამედროვე საქართველოს ისტორიის სამაგისტრო პროგრამის მიზნები მკაფიოდ არის განსაზღვრული. ისინი სრულ შესაბამისობაშია უნივერსიტეტის მისიასა და მიზნებთან, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტრატეგიულ გეგმასთან. პროგრამა მიზნად ისახავს მოამზადოს საქართველოს ისტორიის დარგის მკვლევართა ახალი თაობა, რომელიც შეძლებს განახორციელოს კვლევა საქართველოს თანამედროვე და უახლეს ისტორიაში და გაეცნოს საერთაშორისო ისტორიოგრაფიის უახლეს მიღწევებს. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა კვლევის ინტერნაციონალიზაციას. პროგრამის ფარგლებში მიღებული უნარ-ჩვევები კურსდამთავრებულს საშუალებას მისცემს დასაქმდეს სახელმწიფო ან კერძო ორგანიზაციებში ან განაგრძოს სწავლა უმაღლესი განათლების დოქტორანტურის საფეხურზე.

#### **პროგრამა 5 – შუა საუკუნეების კვლევების სამაგისტრო პროგრამა**

თანამედროვე საქართველოს ისტორიის სამაგისტრო პროგრამის მიზნები მკაფიოდ არის განსაზღვრული. ისინი სრულ შესაბამისობაშია უნივერსიტეტის მისიასა და მიზნებთან, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტრატეგიულ გეგმასთან. პროგრამა ითვალისწინებს შუა საუკუნეების მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადებას, რომელსაც ექნება სისტემური ცოდნა შუა საუკუნეების საქართველოსა და ბიზანტიის თუ დასავლეთ ევროპის (ინტერესის რეგიონის მიხედვით) ისტორიულ, კულტურულ, ფილოსოფიურ, თეოლოგიურ, ლიტერატურულ თუ ენობრივ საკითხებზე, და დაეხმარება მათ განავითარონ კრიტიკული აზროვნებისა და ანალიზის უნარები. შუა საუკუნეების სამაგისტრო პროგრამაზე სწავლის დროს მიღებული კვალიფიკაცია და უნარ-ჩვევები კურსდამთავრებულს საშუალებას მისცემს დასაქმდეს სახელმწიფო ან კერძო ორგანიზაციებში ან განაგრძოს სწავლა უმაღლესი განათლების დოქტორანტურაში.

## **პროგრამა 6 – სადოქტორო პროგრამა ისტორიაში**

ისტორიის სადოქტორო პროგრამა მიზნად ისახავს მოამზადოს მკვლევარები, რომლებიც:

1. განახორციელებენ ინოვაციურ კვლევებს ისტორიის სხვადასხვა მონო- ან ინტერდისციპლინურ დარგებში სხვადასხვა ისტორიული მიდგომების გამოყენებით;
2. წვლილს შეიტანენ ისტორიული კვლევის გავრცელებაში კვლევის შედეგების კომუნიკაციით საერთაშორისო რეცენზირებად ჟურნალებში და წიგნებში პუბლიკაციების მეშვეობით;
3. გადასცემენ ცოდნას სტუდენტებს თანამედროვე პედაგოგიური მეთოდების გამოყენებით.

ისტორიის სადოქტორო პროგრამის მიზნები მკაფიოდ არის განსაზღვრული. ისინი სრულ შესაბამისობაშია უნივერსიტეტის მისიასა და მიზნებთან, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტრატეგიულ გეგმასთან. ისტორიის სადოქტორო პროგრამაზე სწავლისას მიღებული უნარები კურსდამთავრებულს საშუალებას მისცემს დასაქმდეს აკადემიურ დაწესებულებებში ან სახელმწიფო და კერძო ორგანიზაციებში.

## **პროგრამა 7 – სადოქტორო პროგრამა არქეოლოგიაში**

არქეოლოგიის სადოქტორო პროგრამა მიზნად ისახავს მოამზადოს მკვლევარები, რომლებსაც ექნებათ შემდეგი უნარები:

- დაგეგმონ და ჩაატარონ ორიგინალური კვლევა არქეოლოგიის სხვადასხვა დარგში არსებული თეორიული მოდელების და უახლესი მეთოდოლოგიების გამოყენებით და თანამედროვე ეთიკური სტანდარტების დაცვით;
- მოახდინონ კვლევის შედეგების ინტერპრეტაცია და გააზიარონ ისინი ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობით და საერთაშორისო რეფერირებად პუბლიკაციებში სტატიების გამოქვეყნებით;
- გადასცენ ცოდნა სტუდენტებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით;
- განავითარონ ინოვაციური კვლევის იდეები.

### **მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- საგანმანათლებლო პროგრამები;
- პროგრამის სამუშაო ჯგუფის ანგარიში;
- სტუდენტებთან ჩატარებული ფოკუს ჯგუფების ანგარიშები;
- უნივერსიტეტის მისია;
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელოვნებისა და მეცნიერების ფაკულტეტის სტრატეგია 2018-2024 წლებისთვის;
- თვითშეფასების ანგარიში

**კლასტერის საერთო რეკომენდაციები:**

კლასტერის საერთო რჩევები:

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

პროგრამა 1 (ისტორიის საბაკალავრო პროგრამა)

რეკომენდაციები:

რჩევები:

პროგრამა 2 (არქეოლოგიის საბაკალავრო პროგრამა)

რეკომენდაციები:

რჩევები:

პროგრამა 3 (არქეოლოგიის სამაგისტრო პროგრამა)

რეკომენდაციები:

რჩევები:

პროგრამა 4 (თანამედროვე საქართველოს ისტორიის სამაგისტრო პროგრამა)

რეკომენდაციები:

რჩევები:

პროგრამა 5 (შუა საუკუნეების კვლევების სამაგისტრო პროგრამა)

რეკომენდაციები:

რჩევები:

პროგრამა 6 (ისტორიის სადოქტორო პროგრამა)

რეკომენდაციები:

რჩევები:

პროგრამა 7 (არქეოლოგიის სადოქტორო პროგრამა)

რეკომენდაციები:

რჩევები:

შეფასება <sup>6</sup>

კომპონენტი 1.1 პროგრამის მიზნები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
პროგრამა 1 (ისტორია, საბაკალავრო პროგრამა)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2 (არქეოლოგია, საბაკალავრო პროგრამა)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 3 (არქეოლოგია, სამაგისტრო პროგრამა)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

<sup>6</sup> შეფასება ხდება თითოეულ პროგრამასთან მიმართებით ცალ-ცალკე.

პროგრამა 4 (თანამედროვე საქართველოს ისტორია, სამაგისტრო პროგრამა)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 5 (შუა საუკუნეების კვლევები, სამაგისტრო პროგრამა)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 6 (ისტორია, სადოქტორო პროგრამა)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 7 (არქეოლოგია, სადოქტორო პროგრამა)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

## 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

### კლასტერში

**დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

ყველა პროგრამის სწავლის შედეგები ზოგადად შეესაბამება მათ მიზნებს, როგორც ეს აღწერილია ზემოთ და - უფრო დეტალურად - თვითშეფასების ანგარიშში. ისინი სრულად შეესაბამება ევროპულ სტანდარტებს. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ სწავლის შედეგები ისე იყო შემუშავებული, რომ ყველა ჩართულ ინსტიტუციასა და პირს (ფაკულტეტის, უნივერსიტეტის ადმინისტრაციის, აკადემიური და მოწვეული პერსონალის) აქტიური მონაწილეობის საშუალება ჰქონოდა. გარდა ამისა, ისინი ეცნობება სტუდენტებს, კურსდამთავრებულებს, გარე შემფასებლებს და პოტენციურ დამსაქმებლებს უნივერსიტეტის ვებსაიტზე გამოქვეყნებული პროგრამების სასწავლო გეგმების საშუალებით.

### **პროგრამა 1 – საბაკალავრო პროგრამა ისტორიაში**

ისტორიის საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგები და კომპეტენციებია:

- „საქართველოსა და მისი ცალკეული ეპოქების, კონტინენტისა და მსოფლიო ისტორიის სოციალური და ეკონომიკური განვითარების ეტაპების ფართო ცოდნა;
- სხვადასხვა ეპოქის ხალხთა და კულტურათა ანალიზი შედარებითი მიდგომის გამოყენებით;
- წარსულის სხვადასხვა პერსპექტივისა და ინტერპრეტაციის იდენტიფიცირება, შეფასება და განხილვა მომიჯნავე დისციპლინების კონტექსტში (მაგ. ისტორიული, პოლიტიკური, კულტურული, სოციალური, ეკონომიკური და სხვა პარამეტრების გათვალისწინებით);
- კვლევითი კითხვის დასმა აქტუალური ისტორიოგრაფიული პრობლემის/საკითხის შესასწავლად და მასზე პასუხის გაცემა შესაბამისი თეორიების, მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით წინასწარ განსაზღვრული გაიდლაინებით;
- პირველადი და/ან მეორადი ისტორიული წყაროების მოძიება, მათი კრიტიკული ანალიზისა და სინთეზის ჩატარება;
- მოსაზრებებისა და არგუმენტების მკაფიოდ და თანმიმდევრულად ჩამოყალიბების უნარი წერილობით და ზეპირად, ეთიკური ნორმების, სამართლიანობის, მიუკერძოებლობისა და შემწყნარებლობის დაცვით“.



ისტორიის საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად უკავშირდება მის მიზნებს. ისინი შემუშავდა ყველა დაინტერესებული მხარის მონაწილეობით და თავისუფლად არის ხელმისაწვდომი უნივერსიტეტის ვებგვერდზე.

ისტორიის საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება კვალიფიკაციის ეროვნული ჩარჩოს ბაკალავრიატის საფეხურს და ისტორიის დარგობრივი მახასიათებლის დოკუმენტს.

### **პროგრამა - 2. საბაკალავრო პროგრამა არქეოლოგიაში;**

**აღწერა** - პროგრამას აქვს ექვსი სწავლის შედეგი. კურსდამთავრებული ავლენს ზოგად ცოდნას არქეოლოგიის საფუძვლების, მისი ძირითადი თეორიების, მიდგომების, მეთოდებისა და განვითარების ტენდენციების შესახებ; აღიარებს არქეოლოგიის მნიშვნელობას კაცობრიობის წარსულის შესწავლისა და ისტორიული წარსულის სოციალურ, კულტურულ, პოლიტიკურ, ეკონომიკურ, ეკოლოგიურ და ქრონოლოგიურ კონტექსტში გაგებაში; ავლენს საქართველოსა და მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონის (კავკასიის რეგიონი, ახლო აღმოსავლეთი, ხმელთაშუა ზღვის ქვეყნები) პრეისტორიული და ისტორიული არქეოლოგიის (ქვის ხანა, ადრეული ლითონის ხანა, ბრინჯაოს ხანა, რკინის ხანა, ანტიკურობა და შუა საუკუნეები) ფართო ცოდნას; წინასწარ განსაზღვრული მეთოდების შესაბამისად იღებს და ამუშავებს მონაცემებს (წყაროებს, მასალებს და სხვ.) არქეოლოგიური თეორიისა და კვლევის ძირითადი პრინციპებისა და მეთოდების გამოყენებით (საველე, ლაბორატორია); მათი ანალიზისა და ინტერპრეტაციის საფუძველზე ახდენს წარსულის რეკონსტრუქციას; იცავს მიუკერძოებლობისა და ობიექტურობის პრინციპებს არქეოლოგიური ინფორმაციის/მასალის/მონაცემების აღწერაში, ანალიზსა და ინტერპრეტაციაში; და აღიარებს განსხვავებულ ღირებულებებს, იდეებსა და შეხედულებებს ცალკეული არქეოლოგიური კულტურისა და ცივილიზაციების შესახებ, როგორც მსოფლიო ღირებულებების ნაწილი.

**ანალიზი** - საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგები მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული და აღწერს ცოდნასა და უნარებს, რომლებსაც სტუდენტი სწავლის პროცესში იძენს. სწავლის შედეგები არის რეალისტური, მიღწევადი, გაზომვადი და შეესაბამება პროგრამის მიზანს, არქეოლოგიის დარგობრივ მახასიათებელს, სასწავლო დარგის სპეციფიკას და შრომის ბაზრის მოთხოვნებს, დეტალური სფეროს შინაარსს, რომელიც განსაზღვრულია სწავლის სფეროს კლასიფიკატორის (0222 ისტორია და არქეოლოგია) მე-3 მუხლით და მისთვის მისანიჭებელ კვალიფიკაციას - „ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრი“ არქეოლოგიაში. დადასტურებულია მონაწილეებისა და დაინტერესებული მხარეების ჩართულობა პროგრამის შედეგების შემუშავებაში, რაც უზრუნველყოფს სწავლის შედეგების გაცნობას დაინტერესებული საზოგადოებისთვის. საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება კვალიფიკაციის ეროვნული ჩარჩოს VI დონის კვალიფიკაციის აღმწერის მოთხოვნებს. ისინი თანმიმდევრულია და ვითარდებიან სწავლის სფეროს სირთულისა და შინაარსის მიხედვით. გარდა ამისა, ისინი შეესაბამება პროფესიული დასაქმების სფეროების მოთხოვნებს და იძლევა შესაძლებლობას გააგრძელონ სწავლა უმაღლესი განათლების მეორე საფეხურზე.

### **პროგრამა 3 – სამაგისტრო პროგრამა არქეოლოგიაში**

**აღწერა** - პროგრამას აქვს რვა სწავლის შედეგი. კურსდამთავრებული ავლენს სისტემურ ცოდნას განვითარების დინამიკის (პრეისტორიული და ისტორიული ხანა) და თანამედროვე და უძველესი მსოფლიო არქეოლოგიის ტენდენციების შესახებ; შეუძლია დაადგინოს, რა გავლენას

ახდენს კავკასიაში მიმდინარე კულტურულ-ისტორიული პროცესები გარე სამყაროს არქეოლოგიურ ძეგლებზე და ზოგადად მატერიალურ კულტურაზე; ავლენს სიღრმისეულ ცოდნას უახლესი გამოწვევების, პრობლემებისა და მათი გადაჭრის გზების შესახებ; კავკასიის რეგიონის წარსულის შესახებ არსებული ცოდნის გაფართოების ან მისი ახლებურად ინტერპრეტაციის მიზნით, მას შეუძლია დამოუკიდებლად დაგეგმოს არქეოლოგიური კვლევა და განახორციელოს კვლევითი სამუშაოები ყველა არსებულ პირობებში (საველე, ლაბორატორია, კამერა), სადაც ის იყენებს არქეოლოგიური მასალის მოპოვებისა და შესწავლის თანამედროვე მეთოდებს (GIS, ArcMap); აქვს არქეოლოგიური მეთოდებით მოპოვებული მატერიალური კულტურის ნაშთების/მასალების ინტერპრეტაციის უნარი ისტორიული, სოციალური, კულტურული და პოლიტიკური კონტექსტის გათვალისწინებით; შეუძლია განახორციელოს კვლევითი საქმიანობა არქეოლოგიური ეთიკის დადგენილი ნორმებისა და სამართლებრივი რეგულაციების შესაბამისად; შეუძლია ნათლად და კომპეტენტურად წარმოადგინოს საკუთარი კვლევის შედეგები/დასკვნა წერილობით და ზეპირად აკადემიური და ფართო საზოგადოებისთვის, აკადემიური კომუნიკაციის სტანდარტებისა და კეთილსინდისიერების პრინციპის დაცვით; მას შეუძლია სწავლისა და კვლევის პროცესში დამოუკიდებლად იმოქმედოს და გამოავლინოს საკუთარი მეცნიერული ხედვა და დამოუკიდებულება.

**ანალიზი** - სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგები მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული და აღწერს ცოდნასა და უნარებს, რომლებსაც სტუდენტი სწავლის პროცესში იძენს. სწავლის შედეგები არის რეალისტური, მიღწევადი, გაზომვადი და შეესაბამება პროგრამის მიზანს, არქეოლოგიის დარგობრივ მახასიათებელს, სწავლის სფეროს სპეციფიკას და შრომის ბაზრის მოთხოვნებს, დეტალური სფეროს შინაარსს, რომელიც განსაზღვრულია სწავლის სფეროს კლასიფიკატორის (0222 ისტორია და არქეოლოგია) მე-3 მუხლით და მის მისანიჭებელ კვალიფიკაციას - „არქეოლოგიის მაგისტრი“. დადასტურებულია მონაწილეებისა და დაინტერესებული მხარეების ჩართულობა პროგრამის შედეგების შემუშავებაში, რაც უზრუნველყოფს სწავლის შედეგების გაცნობას დაინტერესებული საზოგადოებისთვის. სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება კვალიფიკაციის ეროვნული ჩარჩოს VII დონის კვალიფიკაციის აღმწერის მოთხოვნებს, თანმიმდევრულია და ვითარდება სწავლის სფეროს სირთულის, კომპლექსურობისა და შინაარსის მიხედვით. სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული დასაქმების სფეროების მოთხოვნებს და იძლევა შესაძლებლობას განაგრძონ სწავლა უმაღლესი განათლების მესამე საფეხურზე.

#### **პროგრამა 4 – სამაგისტრო პროგრამა თანამედროვე საქართველოს ისტორიაში**

თანამედროვე საქართველოს ისტორიის სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგები და კომპეტენციებია:

- „მე-19-20 სს. საქართველოს ისტორიის (მისი ეტაპების, პოლიტიკური, კულტურული, სოციალური და ეკონომიკური ასპექტების) სიღრმისეული და სისტემური ცოდნა;
- თანამედროვე და უახლესი ისტორიის გლობალური და რეგიონული (კავკასია, რუსეთი, აღმოსავლეთ ევროპა) კონტექსტების სიღრმისეული ცოდნა;
- დასავლური, საბჭოთა და პოსტსაბჭოთა ისტორიოგრაფიის სიღრმისეული და სისტემური ცოდნა;

- ორიგინალ წყაროებზე არქივებში მუშაობის უნარი და ჩატარებულ კვლევაზე დაფუძნებული ახალი ღირებულებების ჩამოყალიბება;
- ტრანსნაციონალურ კონტექსტში კვლევის დამოუკიდებლად წარმართვა ეთიკური სტანდარტებისა და თანამედროვე მეთოდების დაცვით და მისი საჯაროდ წარმოჩენა;
- საკუთარი დასკვნების, არგუმენტებისა და კვლევის შედეგების წარმოდგენის უნარი თანამედროვე ტექნოლოგიებისა და აკადემიური სტანდარტების გამოყენებით, როგორც მშობლიურ, ისე ინგლისურ ენებზე;
- სასწავლო საჭიროებების განსაზღვრა, სასწავლო პროცესის დამოუკიდებლად დაგეგმვა და წარმართვა;
- წვლილის შეტანა პროფესიული დარგის განვითარებაში.“

თანამედროვე საქართველოს ისტორიის სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული მის მიზნებთან. ისინი შემუშავდა ყველა დაინტერესებული მხარის მონაწილეობით და თავისუფლად არის ხელმისაწვდომი უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.

თანამედროვე საქართველოს ისტორიის სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება კვალიფიკაციის ეროვნული ჩარჩოს სამაგისტრო საფეხურს და ისტორიის დარგობრივი მახასიათებლის დოკუმენტს.

#### **პროგრამა 5 – შუა საუკუნეების კვლევების სამაგისტრო პროგრამა**

შუა საუკუნეების კვლევების სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგები და კომპეტენციები:

- „შუა საუკუნეების თანამედროვე ტენდენციების, კვლევებისა და თეორიული საკითხების სისტემური ცოდნა, აგრეთვე კრიტიკული ანალიზი და შეფასება;
- ქართული და ბიზანტიური თუ დასავლეთ ევროპული კონტექსტების სისტემური ცოდნა, აგრეთვე კრიტიკული ანალიზი და შეფასება (ისტორია, ფილოსოფია-თეოლოგია, ლიტერატურა, ხელოვნების ისტორია, ენათმეცნიერება);
- ძველი ქართულისა და ერთ-ერთი უძველესი ენის (ძველი ბერძნული/ლათინური/ძველი სომხური) ცოდნა;
- პირველადი წყაროების, არგუმენტებისა და მტკიცებულებების კრიტიკული ანალიზი, სინთეზი და შეფასება;
- კვლევისთვის პირველადი წყაროებისა და სხვა შესაბამისი მონაცემების დამოუკიდებლად მოპოვების უნარი, მისი სისტემატიზაცია, დამუშავება და ინტერპრეტაცია;
- შუა საუკუნეების პრობლემური საკითხის ან მოვლენის დამოუკიდებელი და კომპლექსური კვლევის ჩატარება შესაბამისი მეთოდებისა და ინტერდისციპლინური მიდგომების გამოყენებით;
- ინფორმაციისა და კომუნიკაციის თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით მეცნიერებისა და ფართო აუდიტორიის წინაშე ზეპირი და წერილობითი ფორმით თავისი შეხედულებების, არგუმენტების და დასკვნების/კვლევის შედეგების კომპეტენტურად და დამაჯერებლად წარდგენის უნარი;
- სასწავლო და კვლევის პროცესში დამოუკიდებლად მუშაობა და მისი სამეცნიერო შეხედულებების და მიდგომების გაზიარება“.

შუა საუკუნეების კვლევების სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული მის მიზნებთან. ისინი შემუშავდა ყველა დაინტერესებული მხარის მონაწილეობით და თავისუფლად არის ხელმისაწვდომი უნივერსიტეტის ვებგვერდზე.

შუა საუკუნეების კვლევების სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციის ჩარჩოს სამაგისტრო საფეხურს.

### **პროგრამა 6 – სადოქტორო პროგრამა ისტორიაში**

ისტორიის დოქტორანტურის კურსდამთავრებულს შეუძლია:

- „კრიტიკულად გააანალიზოს კვლევის სფეროსთან დაკავშირებული ისტორიული მოვლენები/ფაქტები და ფლობდეს უახლეს კვლევებზე დაფუძნებულ ცოდნას;
- ისტორიული ან/და ისტორიოგრაფიული პრობლემების გადაჭრა ისტორიული მოვლენებისა და ტენდენციების (მაგ. სოციალური, ეკონომიკური, ანთროპოლოგიური, პოლიტიკური, კულტურული და ა.შ.) სხვადასხვა პერსპექტივიდან ინტერპრეტაციის/ანალიზის და ისტორიული კვლევის მეთოდების განხორციელების გზით;
- დამოუკიდებლად დაგეგმოს და ჩაატაროს ორიგინალური კვლევა პირველადი წყაროების გამოყენებით და მეორადი წყაროების მართებულობის, კონტექსტისა და ობიექტურობის შეფასება თანამედროვე საველე თუ ინტერდისციპლინური კვლევის მეთოდების გამოყენებით;
- გაიზიაროს ახალი ცოდნა კომუნიკაციის სხვადასხვა საშუალებებით და დაიცვას აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპები, რაც მოიცავს ადგილობრივ ან საერთაშორისო დონეზე თემატურ დისკუსიებში მონაწილეობას და კვლევის შედეგების გავრცელებას საერთაშორისო რეცენზირებად პუბლიკაციებში;
- გადასცეს ცოდნა აუდიტორიას სწავლების პროცესში თანამედროვე სწავლების მეთოდების, გამოცდილების, მიდგომების გამოყენებით."

ისტორიის სადოქტორო პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული მის მიზნებთან. ისინი შემუშავდა ყველა დაინტერესებული მხარის მონაწილეობით და თავისუფლად არის ხელმისაწვდომი უნივერსიტეტის ვებგვერდზე. საბოლოოდ, ისტორიის სადოქტორო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება კვალიფიკაციის ეროვნული ჩარჩოს სადოქტორო საფეხურს.

### **პროგრამა 7 – სადოქტორო პროგრამა არქეოლოგიაში**

არქეოლოგიის სადოქტორო პროგრამის კურსდამთავრებულს შეუძლია:

- „დამოუკიდებლად დაგეგმოს და ჩაატაროს ორიგინალური კვლევა არქეოლოგიის ერთი ან რამდენიმე ქვედარგის ფარგლებში (პრეისტორიული, კლასიკური, შუა საუკუნეები და ა.შ.), საკვლევ საკითხზე არსებული ცოდნის შეფასების საფუძველზე, შესაბამისი თეორიების/თეორიული ჩარჩოს გამოყენებით და აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით;
- მონაცემთა შეგროვებისა და ანალიზისთვის საველე ან ლაბორატორიული მუშაობის პროცესში გამოიყენოს შესაბამისი კვლევის მეთოდები და/ან ტექნიკა;

- კვლევის შედეგების ინტერპრეტაცია და გაზიარება ადგილობრივ და საერთაშორისო თემატურ დისკუსიებში მონაწილეობით, მათ შორის საერთაშორისო რეფერირებულ პუბლიკაციებში;
- გადასცეს ცოდნა აუდიტორიას სწავლების პროცესში თანამედროვე სწავლების მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით;
- განავითაროს შემდგომი კვლევითი პროცესები და ახალი იდეები უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნის საფუძველზე.

არქეოლოგიის სადოქტორო პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული მის მიზნებთან. ისინი შემუშავდა ყველა დაინტერესებული მხარის მონაწილეობით და თავისუფლად არის ხელმისაწვდომი უნივერსიტეტის ვებგვერდზე. არქეოლოგიის სადოქტორო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება კვალიფიკაციის ეროვნული ჩარჩოს სადოქტორო საფეხურს.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- საგანმანათლებლო პროგრამები;
- პროგრამების სამუშაო ჯგუფების ანგარიშები;
- სტუდენტებისა და კურსდამთავრებულთა კვლევის ანგარიშები;
- ადგილზე განხორციელებული ინტერვიუები;
- თვითშეფასების ანგარიში;
- კომპეტენციების რუკები;
- სამიზნე მახასიათებლების რუკები;
- სწავლის მიზნებისა და შედეგების რუკები.

**კლასტერის საერთო რეკომენდაციები:**

**კლასტერის საერთო რჩევები:**

**რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:**

**პროგრამა 1 (ისტორიის საბაკალავრო პროგრამა)**

რეკომენდაციები:

რჩევები:

**პროგრამა 2 (არქეოლოგიის საბაკალავრო პროგრამა)**

რეკომენდაციები:

რჩევები:

**პროგრამა 3 (არქეოლოგიის სამაგისტრო პროგრამა)**

რეკომენდაციები:

რჩევები:

**პროგრამა 4 (თანამედროვე საქართველოს ისტორიის სამაგისტრო პროგრამა)**

რეკომენდაციები:

<p>რჩევები:</p> <p>პროგრამა 5 (შუა საუკუნეების კვლევების სამაგისტრო პროგრამა)</p> <p>რეკომენდაციები:</p> <p>რჩევები:</p> <p>პროგრამა 6 (ისტორიის სადოქტორო პროგრამა)</p> <p>რეკომენდაციები:</p> <p>რჩევები:</p> <p>პროგრამა 7 (არქეოლოგიის სადოქტორო პროგრამა)</p> <p>რეკომენდაციები:</p> <p>რჩევები:</p>
---

**შეფასება**

კომპონენტი 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
პროგრამა 1 (ისტორია, საბაკალავრო პროგრამა)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2 (არქეოლოგია, საბაკალავრო პროგრამა)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 3 (არქეოლოგია, სამაგისტრო პროგრამა)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 4 (თანამედროვე საქართველოს ისტორია, საბაკალავრო პროგრამა)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 5 (შუა საუკუნეების კვლევები, სამაგისტრო პროგრამა)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 6 (ისტორია, სადოქტორო პროგრამა)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 7 (არქეოლოგია, სადოქტორო პროგრამა)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

**1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი**

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების პროგრამის სწავლის შედეგების სტანდარტული კომპონენტის შეფასების მექანიზმის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეჯამება და ანალიზი

კლასტერის აღწერა - კლასტერში დაჯგუფებული პროგრამების სწავლის შედეგების შეფასება განისაზღვრება ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების პროცედურისა და პროგრამების ფარგლებში შემუშავებული მათი სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმით. შიდა თვითშეფასების მექანიზმი ითვალისწინებს პროცესში დაინტერესებული მხარეების ჩართულობას. ამ თვითშეფასების მიზნით, დანერგილია სამივე საფეხურის პროგრამებისთვის შემუშავებული ინსტრუმენტები. ისინი აგროვებენ შემდეგ თვისობრივ და რაოდენობრივ მონაცემებს თითოეული პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით: სტუდენტების აკადემიური მოსწრება; სტუდენტების სემესტრული გამოკითხვა პროგრამაში შემავალი კურსების შესახებ; აკადემიური და მოწვეული

პერსონალის შეფასება; პროგრამის სწავლის შედეგების პირდაპირი შეფასება დარგობრივ მახასიათებელზე დაყრდნობით; პროგრამის შესახებ დამსაქმებლების გამოხმაურება; პროგრამის ურთიერთშეფასება; სტუდენტების გამოკითხვა საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომებთან დაკავშირებით; სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების ბოლო სემესტრის კვლევის შედეგები; დოქტორანტების გამოკითხვა ხელმძღვანელობაზე; დოქტორანტების გამოხმაურება პროგრამის კომპონენტების, სერვისებისა და პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის შესახებ; სადოქტორო პროგრამის კურსდამთავრებულთა გამოკითხვა დასაქმებისა და კარიერული განვითარების შესახებ. ზემოთ ჩამოთვლილი მონაცემების ანალიზის საფუძველზე კლასტერში დაჯგუფებული პროგრამების გაუმჯობესების მიზნით, განხორციელდა მთელი რიგი ცვლილებები პროგრამების ისეთ ასპექტებთან დაკავშირებით, როგორცაა: პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი; პროგრამის სწავლის შედეგები; პროგრამაში გამოყენებული შეფასების სისტემა; პროგრამის რესურსები. მონაცემთა ანალიზის საფუძველზე თვითშეფასების პროცესი გულისხმობს პროგრამის ძლიერი ასპექტებისა და გასაუმჯობესებელი სფეროების გამოვლენას და მათი განვითარებისა და ინტერვენციების დაგეგმვის ძირითადი საჭიროებების განსაზღვრას. საგანმანათლებლო პროგრამების შიდა თვითშეფასება წარმოდგენილია როგორც უწყვეტი პროცესი. პროგრამების შეფასებისთვის განსაზღვრული ციკლი ითვალისწინებს პროგრამის განხორციელების ხანგრძლივობას, და საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების შემთხვევაში ეს შეადგენს, შესაბამისად, 5, 3 და 6 წელს. პროგრამების თითოეული ციკლი მოიცავს თვითშეფასების პერიოდების შესაბამის რაოდენობას, როდესაც ერთი საანგარიშო პერიოდი მოიცავს ორ სემესტრს მონაცემთა შეგროვებისთვის და მესამე სემესტრს მონაცემთა ანალიზისთვის, ინტერპრეტაციისთვის და შესაბამისი, ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღებისთვის. სწავლის შედეგების შეფასების პროცესში, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის გარდა, მონაწილეობს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სასწავლო პროცესის შეფასებისა და განვითარების სამსახური. გარდა ამისა, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის ოფისი ითვალისწინებს საერთაშორისო პრაქტიკას და პროგრამის ადმინისტრატორებს, ხელმძღვანელებსა და პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პერსონალს სთავაზობს გადასამზადებელ მოდულებს პროგრამის შედეგების განსაზღვრის, შეფასების და ანალიზის შესახებ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ხარისხის უზრუნველყოფის ოფისმა ჩაატარა გარე სამუშაო შეხვედრა და ტრენინგების სერია პროგრამის ადმინისტრატორებისთვის (ფაკულტეტების/სკოლების დეკანები, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელები და სპეციალისტები) პროგრამის შიდა თვითშეფასების მექანიზმებთან და ინსტრუმენტებთან დაკავშირებით, მიმდინარე წლის ზაფხულში. აღნიშნული ტრენინგების სერია პროგრამის ხელმძღვანელებისთვის იგეგმება მიმდინარე წლის შემოდგომის სემესტრის განმავლობაშიც. ამასთან, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ატარებს ინდივიდუალურ კონსულტაციებს პროგრამის ხელმძღვანელებთან და სამუშაო ჯგუფებთან და სთავაზობს მათ რეკომენდაციებს პროგრამის სწავლის შედეგების სწორად ჩამოყალიბებისა და შეფასების შესახებ.

**ანალიზი** - სამივე საფეხურის პროგრამების საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის სწავლის შედეგების შეფასება გამჭვირვალეა და თანმიმდევრულად ხორციელდება დარგის სპეციფიკის შესაბამისად. უმაღლეს სასწავლებელს აქვს საგანმანათლებლო პროგრამების

სწავლის შედეგების პერიოდული შეფასების სისტემა, რომელიც ითვალისწინებს დარგის სპეციფიკას და სწავლის საფეხურს, იყენებს შეფასების ადეკვატურ ფორმებსა და მეთოდებს, რაც იძლევა შესაძლებლობას დაადგინოს სტუდენტების მიერ სწავლის შედეგების მიღწევა სამივე საფეხურზე. სწავლის შედეგების შეფასებაში ჩართულნი არიან გარე დაინტერესებული მხარეები. სამივე საფეხურის პროგრამას აქვს მიზნობრივი დარგობრივი მახასიათებლები თითოეული სწავლის შედეგისთვის, რომლებსაც პერიოდულად ადარებენ სწავლის შედეგების შეფასების პერიოდული მონიტორინგის საშუალებით. საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების აკადემიური და მოწვეული პერსონალი მონაწილეობდა სწავლის შედეგების შეფასების მეთოდების შემუშავებაში და ამიტომ იცნობს მათ და იყენებს მათ. უსდ უზრუნველყოფს სამივე საფეხურის პროგრამების სწავლის შედეგების ანალიზის შედეგების გაცნობას დაინტერესებული პირებისთვის და უზრუნველყოფს მათ გამოყენებას პროგრამების შემდგომი განვითარებისა და გაუმჯობესებისთვის.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- საგანმანათლებლო პროგრამები;
- პროგრამის სამუშაო ჯგუფის ანგარიში;
- სტუდენტებთან ჩატარებული ფოკუს ჯგუფების ანგარიშები;
- უნივერსიტეტის მისია
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელოვნებისა და მეცნიერების ფაკულტეტის სტრატეგია 2018-2024 წლებისთვის;
- თვითშეფასების ანგარიში

**კლასტერის საერთო რეკომენდაციები:**  
**კლასტერის საერთო რჩევები:**

**რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:**

**პროგრამა 1 (ისტორიის საბაკალავრო პროგრამა)**

რეკომენდაციები:

რჩევები:

**პროგრამა 2 (არქეოლოგიის საბაკალავრო პროგრამა)**

რეკომენდაციები:

რჩევები:

**პროგრამა 3 (არქეოლოგიის სამაგისტრო პროგრამა)**

რეკომენდაციები:

რჩევები:

**პროგრამა 4 (თანამედროვე საქართველოს ისტორიის სამაგისტრო პროგრამა)**

რეკომენდაციები:

რჩევები:



**პროგრამა 5 (შუა საუკუნეების კვლევების სამაგისტრო პროგრამა)**

რეკომენდაციები:

რჩევები:

**პროგრამა 6 (ისტორიის სადოქტორო პროგრამა)**

რეკომენდაციები:

რჩევები:

**პროგრამა 7 (არქეოლოგიის სადოქტორო პროგრამა)**

რეკომენდაციები:

რჩევები:

**შეფასება**

კომპონენტი 1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
პროგრამა 1 (ისტორია, საბაკალავრო პროგრამა)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2 (არქეოლოგია, საბაკალავრო პროგრამა)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 3 (არქეოლოგია, სამაგისტრო პროგრამა)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 4 (თანამედროვე საქართველოს ისტორია, სამაგისტრო პროგრამა)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 5 (შუა საუკუნეების კვლევები, სამაგისტრო პროგრამა)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 6 (ისტორია, სადოქტორო პროგრამა)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 7 (არქეოლოგია, სადოქტორო პროგრამა)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

**1.4. საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი**

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის

**შეფასება და ანალიზი**

კლასტერის შვიდივე პროგრამა სრულად შეესაბამება ეროვნული კანონმდებლობის მოქმედ სტანდარტებსა და წესებს, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტს და კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპულ სისტემას პროგრამების შემუშავების, სტუდენტების შეფასებისა და კრედიტების მინიჭების კუთხით. პროგრამების სტრუქტურა დაფუძნებულია კარგად გააზრებულ და რეალისტურ კონცეფციაზე და რეგულარულად ივცლება და უმჯობესდება გარე მიმოხილვების, შიდა შეფასების სისტემის, სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების უკუკავშირისა და ფოკუს ჯგუფების მუშაობის შედეგად. პროგრამების ამჟამინდელი სტრუქტურა მიჰყვება გონივრულ თანმიმდევრულ სქემას ბაკალავრიდან დოქტორანტურამდე, რაც

უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. საბაკალავრო პროგრამების ხანგრძლივობაა 4 წელი, რაც შეესაბამება 240 ECTS კრედიტს, სამაგისტრო პროგრამების ხანგრძლივობაა 2 წელი, რაც შეესაბამება 120 ECTS კრედიტს, ხოლო დოქტორანტურის ხანგრძლივობაა 3-5 წელი (120 ECTS, რომელთაგან 42 ეძლევა სპეციალობის შესაბამის სფეროს, ანუ არქეოლოგიას ან ისტორიას).

## **აღწერა და ანალიზი**

### **პროგრამა 1 – საბაკალავრო პროგრამა ისტორიაში**

ისტორიის საბაკალავრო პროგრამა შემუშავებულია დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის მიხედვით, რომელიც არსებობს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში. პროგრამის სტრუქტურა მოიცავს მიღების წინაპირობებს და სწავლის შედეგებს.

ისტორიის საბაკალავრო პროგრამის სტრუქტურა შედგება 240 ECTS კრედიტისგან, რომლებიც იყოფა შემდეგნაირად:

- 60 ECTS კრედიტი ენიჭება ზოგად მოდულებს, რომლებიც შედგება ჰუმანიტარული მეცნიერებების და შესავალი კურსებისაგან;
- ძირითად სპეციალობას ენიჭება 120 ECTS კრედიტი. ამ რაოდენობიდან 48 ECTS კრედიტი სავალდებულოა, 54 ECTS კრედიტი სავალდებულო-არჩევითი (სტუდენტებმა უნდა აირჩიონ 9 კურსი ან 7 კურსი პლუს საბაკალავრო ნაშრომი 28 დისციპლინიდან), ხოლო 18 ECTS კრედიტი არჩევითია.
- მაინორ პროგრამისთვის გამოიყოფა 60 ECTS კრედიტი ან შეიძლება გამოყენებულ იქნას როგორც თავისუფალი კრედიტი.

ისტორიის საბაკალავრო პროგრამის სტრუქტურა ლოგიკური და თანმიმდევრულია. კურსები მთლიანობაში უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია - ისტორიის ბაკალავრი - სრულ შესაბამისობაშია კვალიფიკაციის ეროვნულ ჩარჩოსთან და პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

### **პროგრამა - 2. საბაკალავრო პროგრამა არქეოლოგიაში;**

**აღწერა** - არქეოლოგიის საბაკალავრო პროგრამის მოცულობა შეადგენს 240 კრედიტს, ხოლო სწავლის სტანდარტული ხანგრძლივობა არის 4 წელი. პროგრამის სტრუქტურა მოიცავს: თავისუფალ კომპონენტს: ზოგადი მოდული - 60 კრედიტი; სწავლის ძირითადი მიმართულება - 120 კრედიტი; დამატებითი პროგრამა/თავისუფალი კომპონენტი - 60 კრედიტი.

**ანალიზი** - არქეოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სტრუქტურა შედგენილია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესისა და ECTS - კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის შესაბამისად, მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიით, რომელიც არსებობს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში და ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობით. პროგრამის შინაარსი, მოცულობა და სირთულე შესაბამისობაშია სწავლების ციკლთან; პროგრამის შინაარსი, სტრუქტურა და რესურსები უზრუნველყოფს სწავლის ინდივიდუალურობას, სწავლის

შედეგების მიღწევას და შესაბამისობას მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან - ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრი არქეოლოგიაში. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრულია და მისი თითოეული კომპონენტი ლოგიკურად არის აწყობილი, თანმიმდევრობით და ყოველი მომდევნო კომპონენტისთვის დადგენილი წინაპირობები ადეკვატურია. გარდა ამისა, პროგრამა ასახავს დარგის თანამედროვე მიღწევებს. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი უზრუნველყოფს პროგრამასთან დაკავშირებული ინფორმაციის საჯაროობას.

### **პროგრამა 3 – სამაგისტრო პროგრამა არქეოლოგიაში**

**აღწერა** - არქეოლოგიაში სამაგისტრო პროგრამის მოცულობა შეადგენს 120 კრედიტს და სწავლის სტანდარტული ხანგრძლივობა არის 2 წელი. პროგრამის სტრუქტურა მოიცავს: სავალდებულო კურსებს - 66 კრედიტი; სავალდებულო-არჩევით კურსებს - 30 კრედიტი; არჩევით კურსებს - 6 კრედიტი; სამაგისტრო ნაშრომს - 18 კრედიტი.

**ანალიზი** - არქეოლოგიის სამაგისტრო პროგრამის სტრუქტურა შედგენილია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და ECTS - კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიით, რომელიც მოქმედებს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში და ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობით. პროგრამის შინაარსი, მოცულობა და სირთულე შეესაბამება განათლების საფეხურს. პროგრამის შინაარსი, სტრუქტურა და რესურსები უზრუნველყოფს ინდივიდუალურობას სწავლის დროს, სწავლის შედეგების მიღწევასა და მინიჭებულ კვალიფიკაციასთან - არქეოლოგიის მაგისტრის შესაბამისობას. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრულია და მისი თითოეული კომპონენტი აწყობილია ლოგიკური თანმიმდევრობით. თითოეულ მომდევნო კომპონენტზე დაშვების წინაპირობები ადეკვატურია. სამაგისტრო პროგრამა ასახავს დარგის თანამედროვე მიღწევებს. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი უზრუნველყოფს პროგრამასთან დაკავშირებული ინფორმაციის საჯაროობას.

### **პროგრამა 4 – სამაგისტრო პროგრამა თანამედროვე საქართველოს ისტორიაში**

თანამედროვე საქართველოს ისტორიის სამაგისტრო პროგრამა შემუშავებულია დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის მიხედვით, რომელიც არსებობს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში. პროგრამის სტრუქტურა მოიცავს მიღების წინაპირობებს და სწავლის შედეგებს.

თანამედროვე საქართველოს ისტორიის სამაგისტრო პროგრამის სტრუქტურა შედგება 120 ECTS კრედიტისგან, რომლებიც იყოფა შემდეგნაირად:

- 78 ECTS კრედიტი ენიჭება სავალდებულო კურსებს;
- 24 ECTS კრედიტი ენიჭება არჩევით კურსებს;
- 18 ECTS კრედიტი გამოყოფილია სამაგისტრო ნაშრომისთვის.

თანამედროვე საქართველოს ისტორიაში სამაგისტრო პროგრამის სტრუქტურა ლოგიკური და თანმიმდევრულია. კურსები მთლიანობაში უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების

მიღწევას. მინიჭებული კვალიფიკაცია - ისტორიის მაგისტრი - სრულ შესაბამისობაშია კვალიფიკაციის ეროვნულ ჩარჩოსთან და პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

#### **პროგრამა 5 – შუა საუკუნეების კვლევების სამაგისტრო პროგრამა**

შუა საუკუნეების კვლევების სამაგისტრო პროგრამა შემუშავებულია დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის მიხედვით, რომელიც არსებობს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში. პროგრამის სტრუქტურა მოიცავს მიღების წინაპირობებს და სწავლის შედეგებს.

შუა საუკუნეების კვლევების სამაგისტრო პროგრამის სტრუქტურა შედგება 120 ECTS კრედიტისგან, რომლებიც შემდეგნაირადაა განაწილებული:

- 30 ECTS კრედიტი ენიჭება სავალდებულო კურსებს;
- სულ მცირე 42 ECTS კრედიტი ენიჭება სავალდებულო-არჩევით კურსებს (სტუდენტებს შეუძლიათ აირჩიონ მეტი ECTS კრედიტი არჩევითი საგნების ნაცვლად);
- არჩევით კურსებს ენიჭება მაქსიმუმ 18 ECTS კრედიტი;
- სამაგისტრო ნაშრომისთვის გამოიყოფა 30 ECTS კრედიტი.

შუა საუკუნეების კვლევების სამაგისტრო პროგრამის სტრუქტურა ლოგიკური და თანმიმდევრულია. კურსები მთლიანობაში უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მინიჭებული კვალიფიკაცია - შუა საუკუნეების კვლევების მაგისტრი - სრულ შესაბამისობაშია კვალიფიკაციის ეროვნულ ჩარჩოსთან და პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

#### **პროგრამა 6 – სადოქტორო პროგრამა ისტორიაში**

ისტორიის სადოქტორო პროგრამა შემუშავებულია დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის მიხედვით, რომელიც არსებობს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში. პროგრამის სტრუქტურა მოიცავს მიღების წინაპირობებს და სწავლის შედეგებს. პროგრამა მოიცავს სასწავლო და კვლევით კომპონენტებს. სასწავლო კომპონენტისთვის გამოყოფილია 42 ECTS კრედიტი. მათგან 30 ECTS კრედიტი სავალდებულოა, ხოლო 12 ECTS არჩევითი.

ისტორიის სადოქტორო პროგრამის სტრუქტურა ძირითადად ლოგიკური და თანმიმდევრულია. პროგრამა უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. მინიჭებული კვალიფიკაცია - ისტორიის დოქტორი - სრულ შესაბამისობაშია კვალიფიკაციის ეროვნულ ჩარჩოსთან და პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან. ერთადერთ პრობლემას წარმოადგენს სავალდებულო ტრენინგი „პერსონალური და პროფესიული განვითარების ცენტრი (PPDC)“, რომელიც სავალდებულო კომპონენტების ნაწილია, თუმცა ECTS კრედიტი არ გააჩნია. ამავდროულად, ის არ შეიძლება ჩაითვალოს კვლევის კომპონენტის ნაწილად, რისთვისაც არ არის საჭირო ECTS კრედიტების მინიჭება. ამ ტრენინგის სილაბუსი არ არსებობს და როგორც ინტერვიუების დროს გაირკვა, არ არის მკაფიო წარმოდგენა იმის შესახებ, თუ რას წარმოადგენს ეს ტრენინგი. ეს დაკავშირებულია ასისტენტობასთან, რომლის წინაპირობასაც წარმოადგენს, თუ დოქტორანტი გადაწყვეტს პედაგოგის ასისტენტობას. ეს ტრენინგი არის პროგრამის უახლესი დამატება და ის არ არსებობდა მანამდე აკრედიტებულ ისტორიის სადოქტორო პროგრამაში.

ამგვარად, ექსპერტთა ჯგუფი მივიდა დასკვნამდე, რომ უკეთესი იქნება, თუ იგი ასისტენტობის ნაწილი გახდება, რითაც მოგვარდება ამჟამად არსებული პრობლემები.

### **პროგრამა 7 – სადოქტორო პროგრამა არქეოლოგიაში**

არქეოლოგიის სადოქტორო პროგრამა შემუშავებულია დაგეგმვის, შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგიით, რომელიც არსებობს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში. პროგრამის სტრუქტურა მოიცავს მიღების წინაპირობებს და სწავლის შედეგებს. არქეოლოგიაში სადოქტორო პროგრამის სტრუქტურა შედგება სასწავლო და კვლევითი კომპონენტებისგან. სასწავლო კომპონენტისთვის გამოყოფილია 42 ECTS კრედიტი. მათგან 24 ECTS კრედიტი სავალდებულოა, ხოლო 18 ECTS კრედიტი არჩევითი. არქეოლოგიის სადოქტორო პროგრამის სტრუქტურა ძირითადად ლოგიკური და თანმიმდევრულია. პროგრამა უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. მინიჭებული კვალიფიკაცია - არქეოლოგიის დოქტორი - სრულ შესაბამისობაშია კვალიფიკაციის ეროვნულ ჩარჩოსთან და პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან. ისევე როგორც ისტორიის სადოქტორო პროგრამა, ერთადერთი პრობლემა არის სავალდებულო ტრენინგი "პერსონალური და პროფესიული განვითარების ცენტრი (PPDC)" (დეტალებისთვის იხილეთ ისტორიის სადოქტორო პროგრამის აღწერა). ამრიგად, ექსპერტთა ჯგუფი იგივე რეკომენდაციას იძლევა.

### **მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- საგანმანათლებლო პროგრამები;
- სილაბუსები;
- ელექტრონული პორტალი "Argus": <https://argus.ge/ge/>
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებსაიტი: <https://iliauni.edu.ge/ge/>
- თვითშეფასების ანგარიში

### **კლასტერის საერთო რეკომენდაციები:**

### **კლასტერის საერთო რჩევები:**

### **რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:**

**პროგრამები:** „ისტორიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა, „არქეოლოგიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა

**რეკომენდაციები:** სავალდებულო ტრენინგი "პერსონალური და პროფესიული განვითარების ცენტრი (PPDC)" გახდეს ასისტენტობის ნაწილი.

### **შეფასება**

კომპონენტი 1.4 საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
პროგრამა 1 (ისტორია, ბაკალავრიატი)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2 (არქეოლოგია, ბაკალავრიატი)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 3 (არქეოლოგია, მაგისტრატურა)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 4 (საქართველოს თანამედროვე ისტორია, მაგისტრატურა)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 5 (შუა საუკუნეების კვლევები, მაგისტრატურა)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 6 (ისტორია, დოქტორანტურა)	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 7 (არქეოლოგია, დოქტორანტურა)	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

### 1.5. სასწავლო კურსი/საგანი

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის

შეფასება და ანალიზი

კლასტერის ყველა პროგრამის კურსების ან/და საგნების შინაარსი შექმნილია ისე, რომ სრულად შეესაბამება არსებულ სტანდარტებსა და მოთხოვნებს. თითოეულ კურსს/საგანს აქვს მკაფიოდ განსაზღვრული კრედიტების რაოდენობა, რაც თითოეულ შემთხვევაში დასაბუთებულია და კარგად შეესაბამება საჭირო დატვირთვას. ნაკლებად დამაკმაყოფილებელია სილაბუსებში შემავალი ლიტერატურა, რომელიც რამდენიმე შემთხვევაში საგრძნობლად უნდა განახლდეს.

აღწერა და ანალიზი

**პროგრამა 1 – საბაკალავრო პროგრამა ისტორიაში**

ისტორიის საბაკალავრო პროგრამის სასწავლო კურსები იყოფა სავალდებულო, სავალდებულო-არჩევით და არჩევით საგნებად. კურსების სწავლის შედეგები შეესაბამება კურსის მიზნებს. სავალდებულო კურსების სწავლის შედეგები და შინაარსი შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს. კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება კურსის სწავლის შედეგებს. თითოეული კურსის დატვირთვა დეტალურად არის აღწერილი სილაბუსებში. სილაბუსებში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. თითქმის ყველა კურსზე სავალდებულო ლიტერატურა ქართულ ენაზეა. გამონაკლისია მხოლოდ *შუა აღმოსავლეთის ისტორიის* კურსი. ამ კურსის სილაბუსში არ არის სავალდებულო და დამატებითი ლიტერატურის დაყოფა. ლიტერატურა თემების მიხედვით მოცემულია ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე, მაგრამ ზოგიერთ თემაზე ქართული ლიტერატურა საერთოდ არ არის. ვინაიდან

კურსს არ აქვს ენებზე დაფუძნებული წინაპირობა, უმჯობესია კურსის ლიტერატურა განახლდეს, დაიყოს სავალდებულო და დამატებით ლიტერატურად და თითოეული თემის ქვეშ იყოს წარმოდგენილი ქართული ლიტერატურა (ან სულ მცირე მასალა).

### **პროგრამა 2 - საბაკალავრო პროგრამა არქეოლოგიაში**

**აღწერა** - არქეოლოგია ქვის ხანიდან კლასიკურ არქეოლოგიამდე ისწავლება საბაკალავრო პროგრამის სავალდებულო კურსების ფარგლებში; საველე არქეოლოგიური პრაქტიკა უზრუნველყოფს გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემის სასწავლო კურსის ფარგლებში შესწავლილი მეთოდების დარგში გამოყენებას; საბაკალავრო ნაშრომი აერთიანებს პროგრამის ფარგლებში მიღებულ თეორიულ და პრაქტიკულ ცოდნას. არჩევითი კურსები ავსებს სავალდებულო კურსებს შინაარსობრივად და სტუდენტებს სთავაზობს მათთვის საინტერესო თემების უფრო ფართო შესწავლას. პროგრამა ასევე სთავაზობს სტუდენტებს ლათინური, კლასიკური ბერძნული და ძველი ქართული ენების შესწავლის შესაძლებლობას.

**ანალიზი** - არქეოლოგიის საბაკალავრო პროგრამის ძირითადი სწავლის სფეროს სწავლის შედეგები სრულად შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს. თითოეული სასწავლო კურსის/საგნის სპეციფიკის გათვალისწინებით განისაზღვრება კრედიტების რაოდენობა და შესაბამისი საათები (საკონტაქტო და დამოუკიდებელი სამუშაო), მათ შორის თანაფარდობა ადეკვატურია და შეესაბამება სასწავლო შინაარსს და შედეგებს. სწავლის თითოეული შედეგი ფასდება კურსის/საგნის სილაბუსის შეფასების ფორმების, მეთოდებისა და კრიტერიუმების მეშვეობით. კურსის/საგნის სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა ეფუძნება მოცემულ სფეროში მიმდინარე მოვლენებს. სასწავლო კურსი აღწერილია სილაბუსში და მოიცავს შემდეგ ინფორმაციას: კურსის დასახელება, ხანგრძლივობა, კრედიტების რაოდენობა, საათების განაწილება, ლექტორი, კურსზე მიღების წინაპირობები, სწავლების მეთოდები, კურსის მიზანი, სწავლის შედეგები და კომპეტენციები, შეფასების მეთოდი, ლიტერატურა და სხვა რესურსები, თემები კვირების მიხედვით.

### **პროგრამა 3 - სამაგისტრო პროგრამა არქეოლოგიაში**

**აღწერა** - არქეოლოგიის სამაგისტრო პროგრამის სავალდებულო კურსები ითვალისწინებს საქართველოს არქეოლოგიის შესწავლას პრეისტორიული დროიდან; საველე არქეოლოგიური პრაქტიკის პრაქტიკული კურსები არქეოლოგიური ძეგლების თეორიული, საველე და საოფისე შესწავლა უზრუნველყოფს არქეოლოგიური კვლევისათვის საჭირო უნარ-ჩვევების განვითარებას; იმავე მიზნებს ემსახურება კურსები არქეოლოგიური წყაროების ანალიზისა და არქეოლოგიური კვლევის პროცესისა და მეთოდების შესახებ; აკადემიურ წერასთან დაკავშირებული საკითხები ისწავლება სავალდებულო აკადემიური წერის კურსის ფარგლებში; გეოინფორმაციული სისტემების სიღრმისეული ანალიზის კურსი ამზადებს სტუდენტებს სამაგისტრო ნაშრომისთვის საჭირო არქეოლოგიური კვლევისთვის. პროგრამის როგორც სავალდებულო-არჩევითი, ასევე არჩევითი კურსების მოდული მოიცავს დარგობრივ კურსებს, რომლებიც აღრმავებს სავალდებულო კურსების ფარგლებში მიღებულ ცოდნას.

**ანალიზი** - არქეოლოგიის სამაგისტრო პროგრამის ძირითადი სასწავლო სფეროს კურსის/საგნის სწავლის შედეგები სრულად შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს. სწავლებისა და კვლევის კომპონენტების შედეგები ქმნიან პროგრამის საბოლოო სწავლის შედეგებს. თითოეული სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი შეესაბამება ამ სასწავლო კურსის/საგნის სწავლის შედეგებს.

კრედიტების რაოდენობა და შესაბამისი საათები განისაზღვრება თითოეული სასწავლო კურსის/საგნის სპეციფიკის (კურსის შინაარსი და სწავლის შედეგები) გათვალისწინებით. სილაბუსებში/კონცეფციაში მოცემულია საკონტაქტო და დამოუკიდებელი მუშაობისთვის განკუთვნილი დროები, მათ შორის თანაფარდობა ადეკვატურია და ითვალისწინებს კურსის სპეციფიკას. საკონტაქტო საათების რაოდენობა სრულად შეესაბამება ამ კურსის/საგნის შინაარსს და სწავლის შედეგებს. სწავლის თითოეული შედეგი ფასდება კურსის/საგნის სილაბუსის შეფასების ფორმების, მეთოდებისა და კრიტერიუმების მეშვეობით. პროგრამის კურსის/საგნის სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა ეფუძნება სფეროში მიმდინარე მიღწევებს/კვლევებს. სილაბუსებსა და კონცეფციებში, კურსების სწავლის შედეგები ძირითადად ფორმულირებულია აწმყო დროით და მოქმედებითი გვარის გამოყენებით. აკადემიური კურსი აღწერილია სილაბუსში ან კონცეფციაში და მოიცავს შემდეგ ინფორმაციას: კურსის დასახელება, ხანგრძლივობა, კრედიტების რაოდენობა, საათების განაწილება (საკონტაქტო და დამოუკიდებელი სამუშაო საათები), ლექტორი, კურსზე მიღების წინაპირობები, სწავლების მეთოდები, კურსის მიზანი, სწავლის შედეგები და კომპეტენციები, ძირითადი თემები, შეფასების მეთოდი, ლიტერატურა და სხვა რესურსები და ბოლოს თემები კვირების მიხედვით.

#### **პროგრამა 4 – სამაგისტრო პროგრამა თანამედროვე საქართველოს ისტორიაში**

თანამედროვე საქართველოს ისტორიის სამაგისტრო პროგრამის სასწავლო კურსები დაყოფილია სავალდებულო და არჩევით საგნებად. კურსების სწავლის შედეგები შეესაბამება კურსის მიზნებს. სავალდებულო კურსების სწავლის შედეგები და შინაარსი შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს. კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება კურსის სწავლის შედეგებს. თითოეული კურსის დატვირთვა დეტალურად არის აღწერილი სილაბუსებში. სილაბუსებში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

#### **პროგრამა 5 – შუა საუკუნეების კვლევების სამაგისტრო პროგრამა**

შუა საუკუნეების კვლევების სამაგისტრო პროგრამის სასწავლო კურსები იყოფა სავალდებულო, სავალდებულო-არჩევით და არჩევით საგნებად. კურსების სწავლის შედეგები შეესაბამება კურსის მიზნებს. სავალდებულო კურსების სწავლის შედეგები და შინაარსი შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს. კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება კურსის სწავლის შედეგებს. თითოეული კურსის დატვირთვა დეტალურად არის აღწერილი სილაბუსებში. სილაბუსებში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

#### **პროგრამა 6 – სადოქტორო პროგრამა ისტორიაში**

ისტორიის სადოქტორო პროგრამის სავალდებულო კომპონენტებია: ა) ისტორიული კვლევა, თეორიული მიდგომები და მეთოდები – 12 ECTS კრედიტი; ბ) ასისტენტობა – 12 ECTS. ამ კურსის განმავლობაში დოქტორანტი ჩართულია სწავლებაში ან კვლევაში და იძენს აუცილებელ უნარებს ლექციებისა და სემინარების ან დამოუკიდებელი კვლევის ჩასატარებლად; გ) წერა აკადემიური გამოცემისთვის – 6 ECTS კრედიტი. კურსის მიზანია დაეხმაროს სტუდენტებს დაწერონ ერთი სტატია საერთაშორისო რეცენზირებად ჟურნალში გამოსაქვეყნებლად (სადოქტორო დისერტაციის დაცვის წინაპირობა); დ) სადოქტორო კოლოქვიუმები, რომლებიც წარმოადგენს



სტუდენტის ანგარიშებს კვლევის მიმდინარე ეტაპის შესახებ. ისინი უნდა წარედგინოს შესაბამის კომისიას დარგში; ე) სადოქტორო ნაშრომი; ვ) ტრენინგი "პერსონალური და პროფესიული განვითარების ცენტრი (PPDC)" (ამ დისციპლინასთან დაკავშირებული რეკომენდაციებისთვის იხილეთ ქვესტანდარტი 1.4). გარდა სავალდებულო კურსებისა, დოქტორანტმა უნდა შეასრულოს არჩევითი კურსების 12 ECTS კრედიტი. ყველა კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება კურსის მიზნებს. სავალდებულო კურსების სწავლის შედეგები და შინაარსი შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს. კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება კურსის სწავლის შედეგებს. თითოეული კურსის დატვირთვა დეტალურად არის აღწერილი სილაბუსებში. სილაბუსებში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

#### **პროგრამა 7 – სადოქტორო პროგრამა არქეოლოგიაში**

არქეოლოგიის სადოქტორო პროგრამის სავალდებულო კომპონენტებია: ა) არქეოლოგიური კვლევის მეთოდოლოგია – 6 ECTS კრედიტი; ბ) პროფესორის ასისტენტობა – 12 ECTS. ამ კურსის განმავლობაში დოქტორანტი ჩართულია სწავლებაში ან კვლევაში და იძენს აუცილებელ უნარებს ლექციებისა და სემინარების ან დამოუკიდებელი კვლევის ჩასატარებლად; გ) წერა აკადემიური გამოცემისთვის – 6 ECTS კრედიტი. კურსის მიზანია დაეხმაროს სტუდენტებს დაწერონ ერთი სტატია საერთაშორისო რეცენზირებად ჟურნალში გამოსაქვეყნებლად (სადოქტორო დისერტაციის დაცვის წინაპირობა); დ) სადოქტორო კოლოქვიუმები, რომლებიც წარმოადგენს სტუდენტის ანგარიშებს კვლევის მიმდინარე ეტაპის შესახებ. ისინი უნდა წარედგინოს შესაბამის კომისიას დარგში; ე) სადოქტორო ნაშრომი; ვ) ტრენინგი "პერსონალური და პროფესიული განვითარების ცენტრი (PPDC)" (ამ დისციპლინასთან დაკავშირებული რეკომენდაციებისთვის იხილეთ ქვესტანდარტი 1.4). გარდა სავალდებულო კურსებისა, დოქტორანტმა უნდა შეასრულოს არჩევითი კურსების 18 ECTS კრედიტი. ყველა კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება კურსის მიზნებს. სავალდებულო კურსების სწავლის შედეგები და შინაარსი შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს. კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება კურსის სწავლის შედეგებს. თითოეული კურსის დატვირთვა დეტალურად არის აღწერილი სილაბუსებში. სილაბუსებში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

#### **მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- საგანმანათლებლო პროგრამები;
- სილაბუსები;
- თვითშეფასების ანგარიში

#### **კლასტერის საერთო რეკომენდაციები:**

დაწესებულებამ უზრუნველყოს, რომ ცალკეული კურსების სილაბუსები მოიცავდეს განახლებულ ბიბლიოგრაფიას (განსაკუთრებით ქართულ და ინგლისურ ენებზე).

**რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:**

**პროგრამა:** არქეოლოგია, ბაკალავრიატი - მაგისტრატურა

**რეკომენდაციები:** დაწესებულებამ უზრუნველყოს, რომ ცალკეული კურსების სილაბუსები „არქეოლოგიის“ საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებში შეიცავდეს განახლებულ ბიბლიოგრაფიას განსაკუთრებით ქართულ და ინგლისურ ენებზე.

**რჩევები:**

**პროგრამა:** არქეოლოგია, ბაკალავრიატი

**რეკომენდაციები:**

- სასურველია, რომ ზოგიერთ კურსზე (არქეოლოგიის საფუძვლები, არქეოლოგიური ძეგლების სავლე და საოფისე შესწავლა) მითითებული იყოს რიდერის სახელწოდება.
- სასურველია ზოგიერთი კურსის სილაბუსებში დაზუსტდეს ახალი სახელმძღვანელოები და მონოგრაფიები.
- სასურველია შედარებით მოძველებული რუსულენოვანი ლიტერატურის ნაცვლად უფრო ახალი უცხოური ლიტერატურის გამოყენება. მაგალითად: Амальрик А.С., Монгайт А.Л. (ა.ს. ამალრიკი, ა.ლ. მონგაიტი) В поисках исчезнувших цивилизаций (გამქრალი ცივილიზაციების ძიებაში) Москва (მოსკოვი) 1959; **ადრეული რკინის ხანის არქეოლოგია** (ბაკალავრიატი); ესეები საქართველოს ისტორიაზე, ტ. I, თბ. 1970 შუა საუკუნეების არქეოლოგია (ბაკალავრიატი); ესეები საქართველოს ისტორიაზე, ტ. II, თბ. 1973; **არქეოლოგიის საფუძვლები** (ბაკალავრიატი) Монгайт А.Л. Археология Западной Европы (დასავლეთ ევროპის არქეოლოგია) Каменный век (ქვის ხანა) მ. 1973; **შესავალი საქართველოს არქეოლოგიაში** (ბაკალავრიატი); ესეები საქართველოს ისტორიაზე, ტ. I. თბილისი. 1970; ესეები საქართველოს ისტორიაზე, ტ. II. Tbilisi. 1973; **სავლე არქეოლოგია** (მაგისტრატურა) Авдусин Д., Археологические разведки и раскопки, М., 1959; Блаватский В., Античная полевая археология, М., 1967.

**რჩევები:**

კომპონენტი 1.5 სასწავლო კურსი/საგანი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
პროგრამა 1 (ისტორია, ბაკალავრიატი)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2 (არქეოლოგია, ბაკალავრიატი)	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 3 (არქეოლოგია, მაგისტრატურა)	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 4 (თანამედროვე საქართველოს ისტორია, მაგისტრატურა)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 5 (შუა საუკუნეების ისტორია, მაგისტრატურა)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 6 (ისტორია, დოქტორანტურა)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 7 (არქეოლოგია, დოქტორანტურა)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

### პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობა

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
პროგრამა 1 (არქეოლოგია, საბაკალავრო პროგრამა)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2 (არქეოლოგია, სამაგისტრო პროგრამა)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 3 (არქეოლოგია, სადოქტორო პროგრამა)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 4 (ისტორია, საბაკალავრო პროგრამა)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 5 (თანამედროვე საქართველოს ისტორია, სამაგისტრო პროგრამა)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 6 (ისტორია, სადოქტორო პროგრამა)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 7 (შუა საუკუნეების კვლევები, სამაგისტრო პროგრამა)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

## 2.სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

### 2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

## კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის

### შეფასება და ანალიზი

მთლიანობაში კლასტერის პროგრამების დაშვების წინაპირობები და პროცედურები სრულ შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან და მოთხოვნებთან. შესაბამისი პროგრამისა და საფეხურის მოთხოვნებიდან გამომდინარე, უზრუნველყოფილია პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტების სათანადოდ აღჭურვა. საბაკალავრო და სამაგისტრო საფეხურებზე მიღება რეგულირდება ერთიანი ეროვნული გამოცდის (ბაკალავრიატი) და ერთიანი სამაგისტრო გამოცდისა და საუნივერსიტეტო მისაღები გამოცდების (მაგისტრატურა) მეშვეობით, ხოლო სადოქტორო პროგრამაზე დაშვება ექვემდებარება უნივერსიტეტის დაშვების წესებს, რომლებიც შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს. მისაღები პირობები ხელმისაწვდომია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტისა და შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ვებგვერდებზე, ასევე საინფორმაციო შეხვედრებსა და „ღია კარის დღეს“.

### პროგრამა 1 – საბაკალავრო პროგრამა ისტორიაში

ისტორიის საბაკალავრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა:

- ეროვნული გამოცდების ჩაბარება ქართულ ენასა და ლიტერატურაში, უცხო ენაში (ინგლისური, გერმანული, ფრანგული ან რუსული) და ისტორიაში ან ქართულ ლიტერატურაში.

ისტორიის საბაკალავრო პროგრამაზე მიღების წინაპირობები შესაბამისი და სამართლიანია. ისინი საჯაროდ ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებგვერდზე: <https://iliauni.edu.ge>. წინაპირობები არის საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისი და უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირების მიღებას პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად.

### პროგრამა 2 – არქეოლოგიის საბაკალავრო პროგრამა

**აღწერა** - ბაკალავრიატის სასწავლო გეგმით, პროგრამაზე დაშვების წინაპირობად დგინდება, რომ აპლიკანტებს მოეთხოვებათ ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესით. კლასტერის თვითშეფასება აზუსტებს წინაპირობებს შემდეგნაირად: პირს, რომელმაც წარმატებით ჩააბარა ერთიანი ეროვნული გამოცდები შემდეგ საგნებში, შეუძლია ისწავლოს საბაკალავრო პროგრამაზე „არქეოლოგია (ძირითადი და დამატებითი)“: ქართული ენა და ლიტერატურა; ისტორია/მათემატიკა/ლიტერატურა; უცხო ენა (გერმანული, ინგლისური, რუსული, ფრანგული).

**ანალიზი** - არქეოლოგიის საბაკალავრო პროგრამაზე დაშვების მოთხოვნები და პროცედურები მკაცრი, სამართლიანი და ხელმისაწვდომია. წინაპირობები შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას და ლოგიკურად უკავშირდება განათლების საფეხურს, მისანიჭებელ კვალიფიკაციას და სწავლების ენას.

არქეოლოგიის საბაკალავრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობებია:

- ეროვნული გამოცდების ჩაბარება ქართულ ენასა და ლიტერატურაში, უცხო ენაში (ინგლისური, გერმანული, ფრანგული ან რუსული) და ისტორიაში ან ქართულ ლიტერატურაში ან მათემატიკაში.

ეს წინაპირობები შესაბამისი და სამართლიანია. ისინი საჯაროდ ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებგვერდზე: <https://iliauni.edu.ge>. გარდა ამისა, ისინი შეესაბამება საქართველოს

კანონმდებლობას და უზრუნველყოფენ შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირების მიღებას პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად.

### **პროგრამა 3 – სამაგისტრო პროგრამა არქეოლოგიაში**

არქეოლოგიის სამაგისტრო პროგრამაზე მიღების წინაპირობაა:

- ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული ხარისხი (პრიორიტეტი მიენიჭებათ ბაკალავრის ხარისხის მქონე აპლიკანტებს ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ცალკეულ მიმართულებებში);
- ერთიანი სამაგისტრო გამოცდების ჩაბარება;
- უნივერსიტეტის მისაღები გამოცდის ჩაბარება, სადაც დადგინდება აპლიკანტის ცოდნა დარგში და ინგლისური ენის (B2 დონე) ცოდნა.

არქეოლოგიის მაგისტრატურაში მიღების წინაპირობები შესაბამისი და სამართლიანია. ისინი საჯაროდ ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებგვერდზე: <https://iliauni.edu.ge>. გარდა ამისა, ისინი შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას და უზრუნველყოფენ შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირების მიღებას პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად.

**აღწერა** - არქეოლოგიის სამაგისტრო პროგრამაზე დაშვების მსურველ კანდიდატებს უნდა ჰქონდეთ ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი; კონკურსანტმა უნდა ჩააბაროს ერთიანი სამაგისტრო გამოცდა და შიდა გამოცდა უნივერსიტეტში. საუნივერსიტეტო გამოცდის ფარგლებში მოწმდება აპლიკანტის დარგობრივი ცოდნა და B2 დონეზე ინგლისურ ენაზე კომუნიკაციის უნარი.

შიდა საუნივერსიტეტო გამოცდის პირობების, მოთხოვნების, შეფასების კომპონენტებისა და კრიტერიუმების შესახებ დეტალური ინფორმაცია მოცემულია „პროგრამის მიღების დოკუმენტში“, რომელიც ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებგვერდზე [www.iliauni.edu.ge](http://www.iliauni.edu.ge).

კლასტერის თვითშეფასება შემდეგნაირად აზუსტებს სამაგისტრო პროგრამაზე მიღების წინაპირობებს: არქეოლოგიის მაგისტრატურაზე დაიშვება ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე აბიტურიენტი, რომელმაც ჩააბარა ერთიანი სამაგისტრო გამოცდები და საუნივერსიტეტო მისაღები გამოცდები. უნივერსიტეტის ზეპირი მისაღები გამოცდა აფასებს სტუდენტის დარგის საბაზისო ცოდნას, მოტივაციას, აკადემიურ/პროფესიულ მიღწევებს და ქართულ და ინგლისურ ენებზე კომუნიკაციის უნარს. „არქეოლოგიაში“ სამაგისტრო პროგრამაზე მიღებისას უპირატესობა მიენიჭებათ შემდეგი საბაკალავრო პროგრამების კურსდამთავრებულებს: 021- ხელოვნება: 0213.1.5 ხელოვნების ისტორია და თეორია (ხელოვნების შესწავლა); ჰუმანიტარული (ენების გარეშე) 022: 02221,1. ისტორია; 02221.2. არქეოლოგია; 0222.2.1-საქართველოს ისტორია; 02222.2; -ქრისტიანობის ისტორია; 0222.2.3-სიძველეთმცოდნეობა; 031-სოციალური და ქცევითი მეცნიერებები: 0314.1.3-საჯარო გეოგრაფია; 0314.1.4-კულტურული კვლევები; 0314.1.6.-ეთნოლოგია; 0314.1.7.-სოციალური ან/და კულტურული ანთროპოლოგია; 053-ფიზიკური მეცნიერებები: 0532.1.2.-გეოგრაფია (ფიზიკური); 0532.1.3-გეოლოგია; 0532.1.4-გეოფიზიკა.

**ანალიზი** - არქეოლოგიის სამაგისტრო პროგრამაზე მისაღები მოთხოვნები და პროცედურები მკაცრი, სამართლიანი და ხელმისაწვდომია. წინაპირობები შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას, ლოგიკურად უკავშირდება განათლების საფეხურს, მისანიჭებელ კვალიფიკაციას და სწავლების ენას.

#### **პროგრამა 4 – სამაგისტრო პროგრამა თანამედროვე საქართველოს ისტორიაში**

თანამედროვე საქართველოს ისტორიის სამაგისტრო პროგრამაზე მიღების წინაპირობაა:

- ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული ხარისხი (პრიორიტეტი მიენიჭებათ ბაკალავრის ხარისხის მქონე აპლიკანტებს ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ცალკეულ მიმართულებებში);
- ერთიანი სამაგისტრო გამოცდების ჩაბარება;
- უნივერსიტეტის მისაღები გამოცდის ჩაბარება, სადაც დადგინდება აპლიკანტის ცოდნა დარგში და ინგლისური ენის (B2 დონე) ცოდნა.

თანამედროვე საქართველოს ისტორიის სამაგისტრო პროგრამაზე მიღების წინაპირობები შესაბამისი და სამართლიანია. ისინი საჯაროდ ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებგვერდზე: <https://iliauni.edu.ge>. წინაპირობები არის საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისი და უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირების მიღებას პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად.

#### **პროგრამა 5 – შუა საუკუნეების კვლევების სამაგისტრო პროგრამა**

ისტორიის დოქტორანტურის პროგრამაზე მიღების წინაპირობაა:

- ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული ხარისხი;
- ერთიანი სამაგისტრო გამოცდების ჩაბარება;
- უნივერსიტეტის მისაღები გამოცდის ჩაბარება, სადაც დადგინდება აპლიკანტის ცოდნა დარგში და ინგლისური ენის (B2 დონე) ცოდნა.

ისტორიის დოქტორანტურის პროგრამაზე მიღების წინაპირობები შესაბამისი და სამართლიანია. ისინი საჯაროდ ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებგვერდზე: <https://iliauni.edu.ge>. წინაპირობები არის საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისი და უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირების მიღებას პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად.

#### **პროგრამა 6 – სადოქტორო პროგრამა ისტორიაში**

ისტორიის დოქტორანტურის პროგრამაზე მიღების წინაპირობაა:

- მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი შემდეგ დარგებში: **განათლება** - მასწავლებლის მომზადება საგნობრივი სპეციალობით (0114); **ჰუმანიტარული მეცნიერებები**: რელიგია და თეოლოგია (0221); ისტორია და არქეოლოგია (0222); ფილოსოფია და ეთიკა (0223); ინტერდისციპლინური - მოიცავს ხელოვნებასა და ჰუმანიტარულ მეცნიერებებს (0288) ან **სოციალურ მეცნიერებებს**: პოლიტიკური მეცნიერებები და სამოქალაქო საფუძვლები (0312), სოციოლოგია და კულტურული კვლევები (0314), სოციალური და ქცევითი მეცნიერებები - არაკლასიფიცირებული (0319), საბიბლიოთეკო, საარქივო კვლევები და ინფორმაციის მართვა (0322), ინტერდისციპლინური - მოიცავს სოციალურ მეცნიერებებს, ჟურნალისტიკას, ინფორმაციის მენეჯმენტს (0388); იურიდიული (0421); მოგზაურობა, ტურიზმი, დასვენება (1015); ეკონომიკა (0311);
- შიდა საუნივერსიტეტო გამოცდის ჩაბარება ინგლისური ენის მინიმუმ B2 დონეზე ან ინგლისური ენის ცოდნის დამადასტურებელი საერთაშორისო სერტიფიკატის წარმოდგენა (მინიმუმ B2 დონის შესაბამისი);
- სადოქტორო კვლევის განაცხადი;

- ზეპირი გამოცდა დარგში.

ისტორიის დოქტორანტურის პროგრამაზე მიღების წინაპირობები შესაბამისი და სამართლიანია. ისინი საჯაროდ ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებგვერდზე: <https://iliauni.edu.ge>. წინაპირობები არის საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისი და უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირების მიღებას პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად.

**პროგრამა 7 – სადოქტორო პროგრამა არქეოლოგიაში**

არქეოლოგიის სადოქტორო პროგრამაზე მიღების წინაპირობაა:

- მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი შემდეგ დარგებში: ისტორია და არქეოლოგია (0222); კულტურული მემკვიდრეობის კვლევები (0288.1.); პალეოანთროპოლოგია (0588.1.1); რელიგია და ღვთისმეტყველება (0221); ხელოვნების ისტორია და თეორია (ხელოვნების კვლევები) (0213.1.5); არქიტექტურა და მშენებლობა (073); შუა საუკუნეების კვლევები (0288.2.1);
- შიდა საუნივერსიტეტო გამოცდის ჩაბარება ინგლისური ენის მინიმუმ B2 დონეზე ან ინგლისური ენის ცოდნის დამადასტურებელი საერთაშორისო სერტიფიკატის წარმოდგენა (მინიმუმ B2 დონის შესაბამისი);
- სადოქტორო კვლევის განაცხადი;
- ზეპირი გამოცდა დარგში.

არქეოლოგიის სადოქტორო პროგრამაზე მიღების წინაპირობები შესაბამისი და სამართლიანია. ისინი საჯაროდ ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებგვერდზე: <https://iliauni.edu.ge>. წინაპირობები არის საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისი და უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირების მიღებას პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- საგანმანათლებლო პროგრამები
- პროგრამებზე მისაღები დოკუმენტები;
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებ-გვერდი [www.iliauni.edu.ge](http://www.iliauni.edu.ge);
- თვითშეფასების ანგარიში

**კლასტერის საერთო რეკომენდაციები:**

**კლასტერის საერთო რჩევები:**

**რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:**

**პროგრამა 3 (არქეოლოგია, სამაგისტრო პროგრამა)**

**რეკომენდაციები:**

**რჩევები:** სასურველია ორივე საფეხურის პროგრამაზე დაშვების წინაპირობებში მიეთითოს, რომ პროგრამაში მობილობით ჩარიცხვა შესაძლებელია წელიწადში ორჯერ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილ ვადებში, სავალდებულო პროცედურებისა და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესების დაცვით. პროგრამაში ჩარიცხვა ან უცხო ქვეყნის აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან ჩარიცხვა ხდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანების შესაბამისად.

**შეფასება**

კომპონენტი 2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
პროგრამა 1 (ისტორია, ბაკალავრიატი)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2 (არქეოლოგია, ბაკალავრიატი)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 3 (არქეოლოგია, მაგისტრატურა)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 4 (თანამედროვე საქართველოს ისტორია, მაგისტრატურა)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 5 (შუა საუკუნეების ისტორია, მაგისტრატურა)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 6 (ისტორია, დოქტორანტურა)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 7 (არქეოლოგია, დოქტორანტურა)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

**2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო/ კვლევითი/ შემოქმედებითი /სამემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება**

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის

**შეფასება და ანალიზი**

პროგრამები მთლიანობაში და ცალკეული კურსები ისეა შემუშავებული, რომ სტუდენტებმა შეიძინონ ყველა ის უნარ-ჩვევები, რომლებიც აუცილებელია სწავლის დასასრულებლად და წარმატებული კარიერისთვის აკადემიაში ან მის ფარგლებს გარეთ. ეს კვალიფიკაცია მოიცავს როგორც თეორიულ და პრაქტიკულ კომპეტენციებს, ასევე ტრანსფერულ უნარებს. სტუდენტებს ასევე აქვთ შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღონ მრავალფეროვან კლასგარეშე აქტივობებში (რომლებზეც წვდომა უზრუნველყოფილია ინდივიდუალური პროგრამებით), რაც ამდიდრებს მათ სამეცნიერო კვალიფიკაციას. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის თანამშრომლობა მრავალრიცხოვან უცხოურ სამეცნიერო დაწესებულებებთან და ბიბლიოთეკებთან უზრუნველყოფს კვლევითი რესურსების და ინფრასტრუქტურის შესანიშნავ შესაძლებლობას



სწავლის პერიოდში. გარდა ამისა, სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა ჩაერთონ კვლევით პროექტებში, რომლებსაც ატარებენ მასწავლებლები და ამით შეიძინონ პრაქტიკული ცოდნა. დოქტორანტურის დონეზე, საერთაშორისო სადოქტორო პროგრამებთან მჭიდრო თანამშრომლობა დოქტორანტებს აძლევს შესაძლებლობას მონაწილეობა მიიღონ სხვადასხვა ტრენინგში, რომლებიც მიზნად ისახავს მათი კარიერული პერსპექტივების გაუმჯობესებას. გარდა ამისა, მათ მხარს უჭერენ უნივერსიტეტის კვლევის კოორდინაციისა და განვითარების ოფისები, რომლებიც ავრცელებენ ინფორმაციას დამფინანსებელი ინსტიტუტებისა და მიმდინარე კვლევითი პროექტების შესახებ.

## **აღწერა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით**

### **აღწერა და ანალიზი**

(არქეოლოგია ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა)

უნივერსიტეტის არქეოლოგიის სტუდენტებს საშუალება აქვთ შეიძინონ სავსე და არქეოლოგიური კვლევის პრაქტიკული გამოცდილება.

უნივერსიტეტს აქვს ყველა რესურსი როგორც მატერიალური და ტექნიკური, ასევე კვალიფიციური კადრები, რათა დამოუკიდებლად დაგეგმოს და განახორციელოს არქეოლოგიური გათხრები ან სადაზვერვო სამუშაოები ან განახორციელოს არქეოლოგიური სამაშველო სამუშაოები. მსგავსი სამუშაოების საჭიროება სულ უფრო აქტუალური ხდება საქართველოში ბოლო დროს ინტენსიური მშენებლობების დროს.

თანამედროვე არქეოლოგიური კვლევა, გარდა არქეოლოგიური გათხრებისა, ასევე მოიცავს მრავალი დამხმარე დისციპლინის გამოყენებას კვლევაში. ეს ნიშნავს, მაგალითად, C14 დათარიღებას, გენეტიკურ კვლევას, არქეოლოგიური აღმოჩენების სხვადასხვა ანალიზს და სხვა, რაც, რა თქმა უნდა, რთულია ამ უნივერსიტეტისთვის და ყველა სხვა სამეცნიერო დაწესებულებისთვის, ქვეყნის ეკონომიკური შესაძლებლობების გამო. გამოსავალი დასავლურ სამეცნიერო ინსტიტუტებთან თანამშრომლობის გზების ძიებაა. უნივერსიტეტს ამის კარგი გამოცდილება უკვე აქვს, რადგან არქეოლოგიის მიმართულებით იგი თანამშრომლობს ევროპის უნივერსიტეტებთან. ეს თანამშრომლობა მოიცავს, მაგალითად, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ჰალის უნივერსიტეტის კვლევით პროექტს, რომელიც ხორციელდება აღმოსავლეთ საქართველოში, იორის პლატოზე:

<https://orientarch.uni->

[halle.de/projekte\\_der\\_orientarch/vorderorientalisch/vorderoriental\\_aktuell/nazarlebi/?lang=en](https://orientarch.uni-halle.de/projekte_der_orientarch/vorderorientalisch/vorderoriental_aktuell/nazarlebi/?lang=en)

არქეოლოგიის პროგრამის განხორციელება გულისხმობს სტუდენტებისთვის არქეოლოგიურ კვლევაში მონაწილეობის შეთავაზებას. თუმცა აქ ბალანსი უნდა იყოს დაცული ერთი მხრივ პროგრამის მოთხოვნებსა და მეორე მხრივ რეალობას შორის, რაც გულისხმობს, რომ არქეოლოგიური ძეგლების დაცვა და გათხრების მეთოდებით მათი შესწავლა მხოლოდ გამართლებული აუცილებლობის შემთხვევაშია საჭირო.

აქ გასათვალისწინებელია დასავლური არქეოლოგიური მემკვიდრეობის დაცვის კონვენციები და ქარტიები. მაგალითად, ლოზანაში 1990 წელს მიღებული არქეოლოგიური მემკვიდრეობის დაცვისა და მართვის ქარტიის რეკომენდაციით, არქეოლოგიური გათხრები უნდა ჩატარდეს ან არქეოლოგიური ადგილის (მაგალითად, სამშენებლო სამუშაოების) გარდაუვალი დაზიანების

თავიდან აცილების მიზნით, ან საფუძვლიანად დასაბუთებული მეცნიერული პრობლემის გადასაჭრელად.

### **პროგრამა 1 - არქეოლოგიის საბაკალავრო პროგრამა;**

**აღწერა** - პროგრამა, სწავლის შედეგების შესაბამისად, უზრუნველყოფს სტუდენტების პრაქტიკული, კვლევითი და ტრანსფერული უნარების განვითარებას. პირველი სასწავლო წლის ფარგლებში შესასწავლი კურსები სრულად ემსახურება ისეთი ტრანსფერული უნარების განვითარებას, როგორცაა კრიტიკული ანალიზი, აკადემიური მუშაობის პრინციპები და რაოდენობრივი მსჯელობა (მაგალითად, "შესავალი თანამედროვე აზროვნებაში", "სტატისტიკა", "აკადემიური წერა"). ინგლისური ენის კომპეტენციის განვითარების მიზნით ზოგადი მოდულის ფარგლებში სწავლების პირველი სემესტრიდან ტარდება კურსები ინგლისურ ენაში. არქეოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სავალდებულო კურსი „საველე არქეოლოგიური პრაქტიკა“ უზრუნველყოფს სტუდენტებს არქეოლოგიური კვლევის საბაზისო უნარ-ჩვევებით; არქეოლოგიის პროგრამის სავალდებულო კურსი „არქეოლოგია და გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემა“ სტუდენტებს GIS სისტემების თეორიულ და პრაქტიკულ ცოდნას აძლევს; საბაკალავრო ნაშრომი არის პროგრამის სავალდებულო კომპონენტი.

**ანალიზი** - საბაკალავრო პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტების პრაქტიკული, კვლევითი და ტრანსფერული უნარების განვითარებას. პროგრამის პრაქტიკული კომპონენტი ორგანიზებულია და დაგეგმილია პროგრამის სწავლის შედეგების მიხედვით და შეესაბამება განათლების ციკლს. პრაქტიკულ და სამეცნიერო-კვლევით პროექტში მონაწილეობისას სტუდენტს ხელმძღვანელობს დარგის კვალიფიციური პირი, რომელიც ასევე აფასებს სტუდენტის საქმიანობას; პრაქტიკულ დაწესებულებებთან და დამსაქმებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები/მემორანდუმები ხელს უწყობს პროგრამებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. საბაკალავრო პროგრამის სავალდებულო სასწავლო კომპონენტები ითვალისწინებს საბაკალავრო ნაშრომის დასაწერად საჭირო კომპეტენციების განვითარებას და შესაბამისი დონის კვლევის უნარ-ჩვევების გამომუშავებას.

### **პროგრამა 2- სამაგისტრო პროგრამა არქეოლოგიაში**

**აღწერა** - სამაგისტრო პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტების პრაქტიკული, კვლევითი და ტრანსფერული უნარების განვითარებას, სწავლის შედეგების შესაბამისად და მათ ჩართულობას კვლევით პროექტებში. პროგრამის სავალდებულო კურსების დიდი ნაწილი უზრუნველყოფს არქეოლოგიის დარგში აუცილებელი პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარებას: „საველე არქეოლოგია“, „არქეოლოგიური წყაროების ანალიზი“, „არქეოლოგიური ძეგლების საველე და კამერული შესწავლა“; „გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემის სიღრმისეული ანალიზი“; „არქეოლოგიური კვლევა-ძიების პროცესი და მეთოდები“. საველე პრაქტიკული სამუშაოს შედეგების დამუშავება და შემდგომი კვლევები გრძელდება არქეოლოგიურ ლაბორატორიაში, რომელიც აღჭურვილია საჭირო ტექნიკით და შესაძლებელს ხდის პრაქტიკული მუშაობის გაგრძელებას პროფესორების ხელმძღვანელობის ქვეშ. პროგრამის პარტნიორი ინსტიტუტები, რომლებიც ხელს უწყობენ სტუდენტების კვლევითი და პრაქტიკული უნარების განვითარებას, არიან: საქართველოს ეროვნული მუზეუმი: არქეოლოგიის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების პარტნიორი ინსტიტუტი - საქართველოს ეროვნული მუზეუმი - უზრუნველყოფს

სტუდენტების/კურსდამთავრებულთა სტაჟირებას. გარდა ამისა, ეროვნული მუზეუმი პროგრამის სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს აძლევს შესაძლებლობას მონაწილეობა მიიღონ მუზეუმის კვლევებში, სხვადასხვა პროექტებსა და სამეცნიერო არქეოლოგიურ ექსპედიციებში. ეროვნული მუზეუმის წამყვანი სპეციალისტები მონაწილეობდნენ პროგრამის სტუდენტებთან ერთად პროგრამაში ჩართული პროფესორების მიერ ორგანიზებულ პალეოლითის ძეგლების სასწავლო ექსპედიციებში.

**ანალიზი** - არქეოლოგიის სამაგისტრო პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტების პრაქტიკული, კვლევითი და ტრანსფერული უნარების განვითარებას. პროგრამის პრაქტიკული კომპონენტი ორგანიზებულია და დაგეგმილია პროგრამის სწავლის შედეგების მიხედვით და შეესაბამება განათლების ციკლს. პრაქტიკულ და სამეცნიერო-კვლევით პროექტში მონაწილეობისას სტუდენტს ხელმძღვანელობს დარგის კვალიფიციური პირი, რომელიც ასევე აფასებს სტუდენტის საქმიანობას; პრაქტიკულ დაწესებულებებთან და დამსაქმებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები/მემორანდუმები ხელს უწყობს პროგრამებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. სამაგისტრო პროგრამის სავალდებულო სასწავლო კომპონენტები ითვალისწინებს სამაგისტრო ნაშრომის დასაწერად საჭირო კომპეტენციების განვითარებას და შესაბამისი დონის კვლევის უნარ-ჩვევების განვითარებას.

საკვალიფიკაციო ნაშრომზე მუშაობისას გამოიყენება კვლევის თანამედროვე მეთოდები, რაც სტუდენტს აძლევს არქეოლოგიური კულტურების დამუშავების, ინტეგრაციის, ანალიზის, ინტერპრეტაციისა და განხილვის უნარს სხვადასხვა ტიპის მონაცემების ფართო კონტექსტში. სტუდენტების პრაქტიკული, სამეცნიერო, კვლევითი და ტრანსფერული უნარების განვითარების მიზნით აქტიურად გამოიყენება ილიას უნივერსიტეტში არსებული შემდეგი საუნივერსიტეტო ინსტიტუტები და შესაბამისი პროფილის ბაზები: დედამიწის შემსწავლელი ინსტიტუტი, აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი, ჭიათურის ბაზა, ვანის ბაზა, დედოფლისწყაროს ბაზა, სტეფანწმინდის ბაზა, გრიგოლეთის ბაზა, მანგლისის ბაზა; უნივერსიტეტის არქეოლოგიური ლაბორატორია; შუა საუკუნეების კვლევის ცენტრი; ვიზუალური ანთროპოლოგიისა და ადგილობრივი ისტორიის კვლევის ლაბორატორია; კავკასიის კვლევების საერთაშორისო სკოლა. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი აქტიურად თანამშრომლობს საერთაშორისო პარტნიორებთან, მაგალითად, ჰოლის უნივერსიტეტთან.

- მტკიცებულებები/ინდიკატორები:
- საგანმანათლებლო პროგრამები
- სამეცნიერო კვლევების საკოორდინაციო ოფისის დებულება
- სადისერტაციო კომიტეტის დებულება და მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის სადოქტორო ხარისხი;
- შესაბამისი კურსების სილაბუსები;

**კლასტერის საერთო რეკომენდაციები:**

**კლასტერის საერთო რჩევები:**

**რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:**

**პროგრამა 1 (არქეოლოგია, საბაკალავრო - სამაგისტრო პროგრამა)**

**რეკომენდაციები:** პრაქტიკული კომპონენტის გაძლიერება არქეოლოგიის საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებში.

**რჩევები:**

**შეფასება**

კომპონენტი 2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
პროგრამა 1 (ისტორია, ბაკალავრიატი)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2 (არქეოლოგია, ბაკალავრიატი)	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 3 (არქეოლოგია, მაგისტრატურა)	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 4 (თანამედროვე საქართველოს ისტორია, მაგისტრატურა)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 5 (შუა საუკუნეების კვლევები, მაგისტრატურა)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 6 (ისტორია, დოქტორანტურა)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 7 (არქეოლოგია, დოქტორანტურა)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

**2.3. სწავლება-სწავლის მეთოდები**

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლებისა და სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება განათლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

**კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის**

**შეფასება და ანალიზი**

**კლასტერის აღწერა** - არქეოლოგიის საბაკალავრო პროგრამაში გამოიყენება სწავლა-სწავლების შემდეგი მეთოდები: ლექცია/სემინარი; პრაქტიკული მეთოდი (საველე სამუშაოები და ლაბორატორია); ინდივიდუალური და ჯგუფური პროექტები; დემონსტრირების მეთოდი; ანალიზი და სინთეზი; დისკუსია/დებატები; პირველად წყაროებზე (წერილობითი და მატერიალური) მუშაობის მეთოდი; შემთხვევის ანალიზი და სხვა. სამაგისტრო პროგრამას

ემატება ჯგუფური მუშაობა; ასევე მასალების ანალიზისა და სინთეზის მეთოდები. სასწავლო კომპონენტების სპეციფიკიდან გამომდინარე, გამოყენებული სხვადასხვა მეთოდი წარმოდგენილია კონკრეტული კურსების სილაბუსებში. სწავლა-სწავლების მეთოდები შეესაბამება განათლების შესაბამის საფეხურს, კურსის შინაარსს და ემსახურება კურსის სწავლის შედეგების მიღწევას. მათი გამოყენება უზრუნველყოფს ისეთი კომპეტენციების განვითარებას, როგორცაა ავტონომია, კრიტიკული მსჯელობა და ანალიტიკური უნარები.

**ანალიზი** - კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში სხვადასხვა კურსების/საგნების სწავლა-სწავლების მეთოდები და აქტივობები განისაზღვრება აკადემიური და კვლევითი კომპონენტების სპეციფიკის გათვალისწინებით, სრულად შეესაბამება განათლების საფეხურს, სწავლის შედეგებს და არქეოლოგიის დარგობრივი მახასიათებლების მოთხოვნებს. პროგრამაში გამოყენებული სწავლა-სწავლების მეთოდები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას, სტუდენტთა აქტიურ ჩართულობას სასწავლო პროცესში შესაბამისი ავტონომიითა და პასუხისმგებლობით, პერსონალსა და სტუდენტებს შორის ურთიერთობას და ა.შ. სწავლა-სწავლების მეთოდები ითვალისწინებს სტუდენტის მონაწილეობას სასწავლო პროცესში და მიმართულია სტუდენტის მიერ დარგობრივი და ტრანსფერული უნარების განვითარებაზე. სასწავლო კურსების/საგნების სილაბუსში აღწერილი სწავლა-სწავლების მეთოდები ითვალისწინებს სტუდენტების ინდივიდუალურ საჭიროებებს. აუცილებლობის შემთხვევაში უსდ უზრუნველყოფს ელექტრონულ/დისტანციურ სწავლებას დარგისთვის შესაბამისი სასწავლო მეთოდებით, რომლებიც არ ცვლის პროგრამის მიზნებსა და სწავლის შედეგს. მაგალითად, ელექტრონული სწავლების ინსტრუმენტები წარმატებით გამოიყენებოდა Covid-19-ის პანდემიის დროს.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- საგანმანათლებლო პროგრამები;
- პროგრამის სილაბუსები;
- ელექტრონული სისტემა "Argus".

**კლასტერის საერთო რეკომენდაციები:**  
**კლასტერის საერთო რჩევები:**

**რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:**

**პროგრამა 1 (ისტორიის საბაკალავრო პროგრამა)**

**რეკომენდაციები:**

**რჩევები:**

**პროგრამა 2 (არქეოლოგიის საბაკალავრო პროგრამა)**

**რეკომენდაციები:**

**რჩევები:**

პროგრამა 3 (არქეოლოგიის სამაგისტრო პროგრამა)

რეკომენდაციები:

რჩევები:

პროგრამა 4 (თანამედროვე საქართველოს ისტორიის სამაგისტრო პროგრამა)

რეკომენდაციები:

რჩევები:

პროგრამა 5 (შუა საუკუნეების კვლევების სამაგისტრო პროგრამა)

რეკომენდაციები:

რჩევები:

პროგრამა 6 (ისტორიის სადოქტორო პროგრამა)

რეკომენდაციები:

რჩევები:

პროგრამა 7 (არქეოლოგიის სადოქტორო პროგრამა)

რეკომენდაციები:

რჩევები:

#### შეფასება

კომპონენტი 2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
პროგრამა 1 (ისტორია, ბაკალავრიატი)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2 (არქეოლოგია, ბაკალავრიატი)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 3 (არქეოლოგია, მაგისტრატურა)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 4 (თანამედროვე საქართველოს ისტორია, მაგისტრატურა)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 5 (შუა საუკუნეების კვლევები, მაგისტრატურა)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 6 (ისტორია, დოქტორანტურა)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 7 (არქეოლოგია, დოქტორანტურა)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

#### 2.4. სტუდენტის შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის

შეფასება და ანალიზი

წარმოდგენილ პროგრამებში სტუდენტების შეფასების პროცესი შეესაბამება უმაღლესი სასწავლებლის მისიას, არის რეალისტური და მიღწევადი, რაც დასტურდება თვითშეფასების

ანგარიშში (SER), პროგრამებში, ადგილზე ვიზიტით და ინტერვიუებით უნივერსიტეტის სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებთან. შეფასების სისტემა ემყარება საკანონმდებლო მოთხოვნებს. თითოეული კურსის ფარგლებში წარმოდგენილია სტუდენტების შეფასების ინდივიდუალური მეთოდები. სტუდენტებს აქვთ კონსულტაციის საათები პროფესორებთან/აკადემიურ პერსონალთან, ასე რომ მათ შეუძლიათ ინდივიდუალურად და პირადად გაარკვიონ შეფასების ზოგიერთი საკითხი.

სტუდენტების შეფასების სისტემა რეგულირდება კანონით. შეფასების სისტემა გამჭვირვალეა, მაგრამ საყურადღებოა, რომ ზოგიერთ სილაბუსში (**პროგრამების აღწერა და ანალიზი**) შეფასების კრიტერიუმები უფრო კონკრეტულ განმარტებას საჭიროებს ქულების შეფასების კრიტერიუმებით დაყოფის ნაწილში.

უნდა აღინიშნოს, რომ სტუდენტების მხრიდან შეფასებაზე პრეტენზია არ ყოფილა. სტუდენტებმა იციან, რომ აქვთ გასაჩივრების და დავის უფლება და ასევე იციან კონკრეტული პროცედურები.

**კლასტერის აღწერა** - თვითშეფასების კითხვარში სტუდენტთა შეფასების პროცესი შეესაბამება როგორც შიდა (უნივერსიტეტის), ისე გარე დებულებებს (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №3: უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტების გაანგარიშების წესის შესახებ და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წესი სტუდენტების/პროფესიული სტუდენტების შეფასების, კრედიტების მინიჭების, რეიტინგისა და ანაზღაურების დამტკიცების შესახებ). პროგრამებში შემავალი კურსების ფარგლებში სტუდენტების შეფასება ტარდება მეთოდებითა და კომპონენტებით, რომლებიც შეესაბამება კურსის სპეციფიკას და უზრუნველყოფს კურსით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის შეფასებას მათში განსაზღვრული გაზომვადი კრიტერიუმებისა და რუბრიკების გამოყენებით. სტუდენტის შეფასება ეფუძნება ოთხ უმთავრეს პრინციპს: მიუკერძოებლობას, სანდობას, ვალიდურობას, გამჭვირვალეობას. თითოეული სასწავლო კურსის შეფასების სისტემა შედგება რამდენიმე კომპონენტისგან და ითვალისწინებს მინიმუმ სამი კომპონენტის შეფასებას (შუალედური შეფასება და ერთი ფინალური შეფასება). შუალედური შეფასება გამოიყენება სტუდენტის ცოდნის შესაფასებლად სალექციო-სამეცნიერო სწავლის პერიოდში. დასკვნითი შეფასება მოიცავს სტუდენტის შეფასებას სემესტრის ბოლოს, საგამოცდო პერიოდში. მინიმალური კომპეტენციის ზღვარი განისაზღვრება შუალედური და საბოლოო შეფასებებისთვის. საბოლოო შეფასებისთვის ეს ზღვარი არ აღემატება მისთვის განსაზღვრული ქულების 60%-ს. საბოლოო შეფასების შედარებითი წილი არ აღემატება 30 ქულას. საბოლოო შეფასება კურსის სავალდებულო კომპონენტია. შეფასება ბაკალავრიატის, მაგისტრატურის და დოქტორანტურის საფეხურებზე ეფუძნება 100-ქულიან სისტემას. ქულების განაწილება და განსაზღვრა ხდება შემდეგნაირად: (ა) ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა; (ბ) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა; (გ) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა; (დ) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა; (ე) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა; (FX) ჩაიჭრა, მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს მეტი სამუშაო სჭირდება ჩასაბარებლად და უფლება აქვს ჩააბაროს ერთი დამატებითი გამოცდა დამოუკიდებელი მუშაობის გზით; (ვ) ვერ ჩააბარა, 40 ქულა ან ნაკლები მაქსიმალური ქულიდან, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ შესრულებული სამუშაო არ არის საკმარისი და მან უნდა გაიაროს საგანი თავიდან. სამაგისტრო ნაშრომის შეფასება სამაგისტრო საფეხურზე არის

ერთჯერადი და მრავალკომპონენტური. ნაშრომი ფასდება კოლეგიური შეფასებით, საკომისიო წესით. სამაგისტრო ნაშრომის შეფასების პროცესში ჩართულია დისერტაციის ხელმძღვანელი, რეცენზენტი და დაცვის შეფასების კომისია, რომელიც დაკომპლექტებულია დარგის აქტიური სპეციალისტებით. საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომების დაცვა საჯაროა, შეფასების პროცედურები და კრიტერიუმები მკაფიოდ არის დადგენილი, ითვალისწინებს კონკრეტული დარგის სპეციფიკას, არის გამჭვირვალე და სამართლიანი და მითითებულია ნაშრომის კონცეფციაში. საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომების დასაწერად გამოიყენება ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური სტილი. ნაშრომებში მითითებული სტილის დაცვასთან დაკავშირებული მოთხოვნები დეტალურად არის აღწერილი ნაშრომების კონცეფციებში. ნამუშევრებში პლაგიატის თავიდან ასაცილებლად, ისინი იტვირთება eLearning პლატფორმაზე და მათში მსგავსების დასადგენად გამოიყენება Turnitin სისტემა. თითოეული კურსის სილაბუსი განსაზღვრავს კურსების ფარგლებში გამოყენებულ შეფასების მეთოდებს, რომლებიც უზრუნველყოფენ კურსით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. სილაბუსებში ასევე მითითებულია შეფასების შესაბამისი კრიტერიუმები. თითოეული კურსის ფარგლებში გამოყენებული შეფასების მეთოდები, კომპონენტები და კრიტერიუმები სტუდენტებისთვის წინასწარ არის ცნობილი შერჩევის ელექტრონული სისტემის „არგუსის“ მეშვეობით. შეფასების კომპონენტებისა და კრიტერიუმების წინასწარ განსაზღვრა და მათი ხელმისაწვდომობა „არგუსში“ უზრუნველყოფს სისტემის გამჭვირვალობას, ობიექტურობას და სამართლიანობას. გარდა ამისა, უნივერსიტეტში მოქმედებს შეფასების გასაჩივრების მექანიზმი, რომელიც სტუდენტს აძლევს შესაძლებლობას მიმართოს ფაკულტეტს/სკოლას სააპელაციო კომისიის შესაქმნელად და შესაბამისი პროცედურების დასაწყებად. სასწავლო პროცესის განმავლობაში სტუდენტები იღებენ უკუკავშირის აკადემიური/მოწვეული პერსონალისგან მათი მიღწევებისა და გაუმჯობესების შესაძლებლობებზე. ყოველი სასწავლო კურსის ფარგლებში, შუალედური შეფასებების შემდეგ, სტუდენტს ეძლევა შესაძლებლობა მიიღოს ლექტორის უკუკავშირი მისი მუშაობისა და შეფასების შესახებ. საბაკალავრო და სამაგისტრო კურსების ეფექტურობის მონიტორინგის მიზნით, სტუდენტების აკადემიური მოსწრების სტატისტიკური ანალიზი იყენებს ძირითად ინდიკატორებს, როგორცაა საშუალო და მედიანა, სიხშირე და სტანდარტული გადახრა. აღნიშნული მონაცემები მოიპოვება „არგუსის“ სისტემით და ანალიზის პროცესში ჩართულია პროგრამის ხელმძღვანელი, სამუშაო ჯგუფი და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტები. აღსანიშნავია, რომ კურსების სისტემატური შეფასების ფარგლებში სტუდენტებს მიეწოდებათ უკუკავშირი კურსით განსაზღვრული შეფასების სისტემის ეფექტურობის შესახებ. გამოკითხვების შედეგად დგინდება, რამდენად იყო სტუდენტი წინასწარ ინფორმირებული შეფასების სისტემის შესახებ, რამდენად ობიექტური იყო შეფასება, დროულად აიტვირთა თუ არა შეფასების შედეგები „არგუსზე“, მიიღო თუ არა სტუდენტმა ლექტორის უკუკავშირი მისი ძლიერი და სუსტი მხარეების შესახებ და ა.შ. პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალი ფლობს შესაბამის ცოდნას შეფასების თანამედროვე მეთოდებთან დაკავშირებით. გარდა ამისა, საგანმანათლებლო კურსების შედგენის, განახლებისა და გაუმჯობესების პროცესში, პროგრამაში ჩართული პერსონალი იღებს კონსულტაციებს და მხარდაჭერას ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისგან



სხვადასხვა თემებთან დაკავშირებით, მათ შორის შეფასების მექანიზმებსა და მიდგომებთან დაკავშირებით.

**ანალიზი** - კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში, სტუდენტთა ცოდნის შეფასების სისტემა შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას. პროგრამაში სტუდენტის შეფასება წინასწარ არის ცნობილი სტუდენტებისთვის, იგი არის მრავალკომპონენტური, გამჭვირვალე, ობიექტური, სანდო და ითვალისწინებს კურსის მიზნებისა და სწავლის შედეგების შეფასებას, რომელიც მიიღწევა კონკრეტული და გაზომვადი კრიტერიუმებისა და რუბრიკების გამოყენებით. ცალკეული კურსების/საგნების შეფასების კომპონენტები და მეთოდები შექმნილია მათი სპეციფიკის გათვალისწინებით და უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. სამივე საფეხურის პროგრამის სტუდენტები იღებენ უკუკავშირს სწავლის შედეგებზე. სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს მკაცრ და სამართლიან პროცედურებს ნაშრომის დაცვისა და შეფასებისთვის. სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა უზრუნველყოფს დოქტორანტის პერიოდულ განვითარებაზე დაფუძნებულ შეფასებას მისი სამეცნიერო ხელმძღვანელის მიერ. დისერტაციების აკადემიური სტილის მოთხოვნები განსაზღვრულია უნივერსიტეტის მიერ და ცნობილია სტუდენტებისთვის. დისერტაციის დაცვა ხდება საჯაროდ უმაღლეს სასწავლებლებში დისერტაციის შეფასებისა და დაცვის პროცედურების მიხედვით. დისერტაციის შეფასებაში უზრუნველყოფილია გარე შემფასებლების (შეფასებების) ჩართვა. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი განათლების სამივე საფეხურის სტუდენტების შეფასებისას იყენებს აკადემიური და კვლევითი ეთიკის, აკადემიური კეთილსინდისიერების, პლაგიატის პრევენციის, გამოვლენისა და რეაგირების მექანიზმებს. უმაღლესი სასწავლებელი უზრუნველყოფს სტუდენტების შეფასების აპელაციის პროცესს, რომელიც გამჭვირვალე და ობიექტურია. უსდ ანალიზებს სტუდენტების შეფასების შედეგებს და იყენებს მას სასწავლო პროცესის გასაუმჯობესებლად. საჭიროების შემთხვევაში, უნივერსიტეტი აფასებს სტუდენტებს ელექტრონული/დისტანციური მეთოდით, ინდივიდუალური შეფასების კომპონენტის თავისებურებების გათვალისწინებით და სანდოობისა და ვალიდობის მონიტორინგით.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- საგანმანათლებლო პროგრამები;
- პროგრამის სილაბუსები;
- ელექტრონული სისტემა "Argus".

**კლასტერის საერთო რეკომენდაციები:**

**კლასტერის საერთო რჩევები:** სასურველია სილაბუსებში სხვადასხვა ტიპის დავალებების შეფასების კრიტერიუმების ახსნა, რათა შეფასების სისტემა უფრო გამჭვირვალე და გასაგები გახდეს სტუდენტებისთვის. მაგალითად, ერთი და იგივე კომპონენტი შეიძლება შეფასდეს 16-დან 20 ქულამდე. ამ და მსგავს შემთხვევაში, მიზანშეწონილი იქნება ასეთი დიდი დიფერენციაციის თავიდან აცილება.

**რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:**

პროგრამა 1 (ისტორიის საბაკალავრო პროგრამა)

რეკომენდაციები:

რჩევები:

პროგრამა 2 (არქეოლოგიის საბაკალავრო პროგრამა)

რეკომენდაციები:

რჩევები:

პროგრამა 3 (არქეოლოგიის სამაგისტრო პროგრამა)

რეკომენდაციები:

რჩევები:

პროგრამა 4 (თანამედროვე საქართველოს ისტორიის სამაგისტრო პროგრამა)

რეკომენდაციები:

რჩევები:

პროგრამა 5 (შუა საუკუნეების კვლევების სამაგისტრო პროგრამა)

რეკომენდაციები:

რჩევები:

პროგრამა 6 (ისტორიის სადოქტორო პროგრამა)

რეკომენდაციები:

რჩევები:

პროგრამა 7 (არქეოლოგიის სადოქტორო პროგრამა)

რეკომენდაციები:

რჩევები:

**შეფასება**

კომპონენტი 2.4. - სტუდენტის შეფასება	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
პროგრამა 1 (ისტორია, ბაკალავრიატი)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2 (არქეოლოგია, ბაკალავრიატი)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 3 (არქეოლოგია, მაგისტრატურა)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 4 (თანამედროვე საქართველოს ისტორია, მაგისტრატურა)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 5 (შუა საუკუნეების კვლევები, მაგისტრატურა)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 6 (ისტორია, დოქტორანტურა)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

პროგრამა 7 (არქეოლოგია,  
დოქტორანტურა)



### პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობა

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
პროგრამა 1 (ისტორია, საბაკალავრო პროგრამა)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2 (არქეოლოგია, საბაკალავრო პროგრამა)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 3 (არქეოლოგია, სამაგისტრო პროგრამა)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 4 (თანამედროვე საქართველოს ისტორია, სამაგისტრო პროგრამა)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 5 (შუა საუკუნეების კვლევები, სამაგისტრო პროგრამა)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 6 (ისტორია, დოქტორანტურა)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 7 (არქეოლოგია, დოქტორანტურა)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

### 3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

#### სტუდენტები და მათი მხარდაჭერის სერვისები

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის

#### შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი (შემდგომში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება/უნივერსიტეტი) და წარმოდგენილი პროგრამების სწავლის და განვითარების შედეგად, შეინიშნება შემდეგი პირობები:

უსდ-ს მიზანია ინდივიდის თავისუფალი განვითარება და სწავლის პროცესში ინოვაციური მეთოდების გამოყენება. უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამების მიზნები სრულ შესაბამისობაშია უსდ-ს მისიასთან, არის რეალისტური და მიღწევადი.

უნივერსიტეტს აქვს ძლიერი საერთაშორისო პარტნიორობის პოლიტიკა და მას, ასევე, იყენებს სადოქტორო პროგრამის გასავითარებლად და გასაუმჯობესებლად.

სტუდენტზე ორიენტირებული სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამები სტუდენტებს სთავაზობენ თეზისის კვალიფიციურ ხელმძღვანელებს. პროგრამაზე სასწავლო/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალის კვალიფიკაციები და მათი რაოდენობა

ადეკვატურია იმისათვის, რომ მიღწეულ იქნას მოსალოდნელი სწავლის შედეგები და აკმაყოფილებდეს სამართლებრივ მოთხოვნებს.

სასწავლო / სამეცნიერო / მოწვეული პერსონალი საკმაოდ ცნობილია ეროვნულ აკადემიურ და პროფესიულ წრეებში. რასაც საკმაოდ წარმატებული და პრაქტიკული გამოცდილება მოაქვს და მხარს უჭერს პროგრამის ფარგლებში ინოვაციურ პროცესს.

უნდა აღინიშნოს, რომ უნივერსიტეტში დასაქმებულია საგულდაგულოდ შერჩეული აკადემიური და მოწვეული პერსონალი, რომელსაც ძლიერი განათლება და, ასევე, ფართო პრაქტიკული გამოცდილება გააჩნია სათანადო სფეროში.

პროგრამის სტრუქტურა შეესაბამება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას, ადგილობრივი და საერთაშორისო სამართლებრივი ბაზრის მოთხოვნას და ეხმიანება სამართლებრივ სფეროში არსებულ გამოწვევებსა და მოვლენებს. რაც ყველაზე მთავარია, დისერტაციის საკითხების შერჩევას, ხდება ისეთი საკითხების შერჩევა, რომელიც საჭიროებს ღრმა ანალიზსა და კვლევას. ყველა აღნიშნული ძირითადი ფაქტორი, საკმარის ინფრასტრუქტურასა და რესურსებთან ერთად, წარმოადგენს მხარდამჭერ არგუმენტებს იმისათვის, რომ წარმოდგენილი პროგრამების მიზნები იყოს რეალისტური და მიღწევადი.

შიდა სამართლებრივი აქტებით სასწავლო პროცესის რეგულირების წესები და პირობები არის მკაფიოდ და კარგად განსაზღვრული. უნდა აღინიშნოს, რომ სტუდენტებისათვის აუცილებელი ინფორმაცია სასწავლო პროცესის შესახებ, მკაფიოდ და დეტალურადაა განმარტებული. როგორც სტუდენტები აღნიშნავენ, შიდა სამართლებრივი აქტებით დადგენილი პროცედურები ხელმისაწვდომი და ადვილად გასაგებია მათთვის.

უნივერსიტეტის ადმინისტრაცია ზრუნავს მათთვის ყველა საჭირო ინფორმაციის მიწოდებაზე. სასწავლო პროცედურების დაგეგმვისა და განხორციელებისათვის არსებობს შესაბამისი ელექტრონული ბაზა. მათი მეშვეობით, სტუდენტები უზრუნველყოფილნი არიან სასწავლო პროცესის შესახებ დეტალური ინფორმაციით.

პროგრამის მიზნები და სწავლის შედეგები ორმხრივად ჰარმონიულია და ერთმანეთზე ახდენს გავლენას, ამავე დროს, სწავლის შედეგები ზუსტად ეფუძნება იმ მეთოდებს, რომლებსაც შედეგების მისაღწევად იყენებენ.

სტუდენტები არიან მეტად მოტივირებულნი, ისინი ძალიან დადებითად აფასებენ აკადემიური პერსონალის პრაქტიკულ პროფილს, იმავე უნივერსიტეტში სწავლის გაგრძელების და ამ პროგრამის შესაბამისად სპეციალიზებული სწავლების არჩევის შესაძლებლობებს, ხელმისაწვდომობასა და განთავსებადობას. პროფესორებთან და ადმინისტრაციასთან ურთიერთობა სტუდენტთა ზოგად კმაყოფილებას იწვევს.

დაინტერესებული მხარეები ჩართულნი არიან პროგრამებში და ყურადღებას ამახვილებენ სტუდენტთა პროფესიულ გადამზადებას და ინოვაციური პროექტების განვითარებას. აკადემიური / სამეცნიერო / მოწვეული / ადმინისტრაციული / დამხმარე პერსონალის დატვირთვა მოიცავს სტუდენტთა საკონსულტაციო საათებს. სტუდენტებს კარგი და ინტენსიური კომუნიკაცია აქვთ პროგრამის აკადემიურ / მოწვეულ / ადმინისტრაციულ პერსონალთან როგორც ოფიციალური, ისე არაფორმალური საშუალებებით. ოფიციალური საკონსულტაციო საათები თითოეული კურსისთვის არის განსაზღვრული და მოცემულია კურსების სილაბუსებში.

ამის მიუხედავად, სტუდენტებს ყოველთვის აქვთ შესაძლებლობა მიმართონ აკადემიურ პერსონალს არაფორმალურად, მათი სამუშაო საათების განმავლობაში.

სტუდენტებმა და აკადემიურმა პერსონალმა იციან სამაგისტრო და სადოქტორო თეზისების მომზადების და დაცვის წესები. ხელმძღვანელები ეხმარებიან სტუდენტებს ბიბლიოგრაფიაზე მუშაობისას და სამუშაო გეგმის მომზადება/დაკონკრეტებაში. პერიოდულად, ისინი ამოწმებენ საკითხზე მუშაობის პროცესს, კონსულტაციის ფორმატით, შეაქვთ კონკრეტული შესწორებები სტუდენტის მიერ შესრულებულ სამუშაოში.

სტუდენტებისთვის არსებობს 2 საბიბლიოთეკო სივრცე და უახლესი კომპიუტერული სასწავლო ოთახები. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში არსებობს მრავალგვარი პროფილის ლიტერატურა, მათ შორის, წიგნები გერმანულ, ინგლისურ და სხვა ენებზე, ასევე უნიკალური წიგნები. ონლაინ ლიტერატურის ბაზები ასევე ხელმისაწვდომია ბიბლიოთეკიდან, აღნიშნული მონაცემთა ბაზის სრული წვდომა საშუალებას აძლევს სტუდენტებს ისწავლონ და ჩაატარონ კვლევა კომპლექსური უცხოური წყაროების გამოყენებით და საკუთარი კვლევის განსავითარებლად.

ბიბლიოთეკას აქვს მოქნილი ელექტრონული კატალოგი. სტუდენტებს შეუძლიათ თავადვე ისარგებლონ წიგნებით. ბიბლიოთეკარი ამარტივებს წიგნების გადანაწილებას. აკადემიური პერსონალის და ხელმძღვანელების მაგისტრანტებთან და დოქტორანტებთან მუშაობის სქემის არსებობამ დაადასტურა აკადემიური პერსონალის და ტუტორების ხელმისაწვდომობა. უნივერსიტეტი ასევე ხელს უწყობს ინდივიდუალური შეხვედრების და კონსულტაციების ჩატარებას.

იმდენად, რამდენადაც სტუდენტები საკუთარი პროფესიით მუშაობენ, ლექციების დრო მაქსიმალურადაა მორგებული სტუდენტების ყოველდღიურ გრაფიკს, რაც სწავლის პროცესს მოქნილს ხდის.

უნივერსიტეტი აწვდის სტუდენტებს ინფორმაციას ადგილობრივი და საერთაშორისო სამეცნიერო ფონდების სტიპენდიების და მხარდაჭერის შესახებ და როგორ უნდა მიმართონ მათ მისაღებად. ასევე, მხარს უჭერს წარმატებულ სტუდენტებს წარმოდგენილი პროექტების დაფინანსებით/თანადაფინანსებით.

სტუდენტები მონაწილეობას იღებენ ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებში, სხვადასხვა სამეცნიერო ღონისძიებებში საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ.

უნივერსიტეტი მხარდაჭერას გამოხატავს სტუდენტების მიმართ და, საჭიროების შემთხვევაში, მზად არის გასცეს შიდა (უნივერსიტეტის) გრანტი დოქტორანტების, მაგისტრანტების და აკადემიური პერსონალის კვლევითი პროექტების დასაფინანსებლად.

უნივერსიტეტი ასევე ჩართულია ერასმუს + პროგრამაში, რომელიც არის ძალიან პროაქტიული და წარმატებული. ასევე, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტს ჰყავს რამდენიმე პარტნიორი უნივერსიტეტი, სადაც სტუდენტებს დამატებით შეუძლიათ მიიღონ მონაწილეობა გაცვლით პროგრამებში/აქტივობებში.

უნივერსიტეტი დოქტორანტ სტუდენტებს სთავაზობს ლექციებს/სასწავლო კომპონენტს. არსებობს დასაქმების პერსპექტივა - დოქტორანტებს აქვთ თანაშემწის სტატუსი - უძღვებიან ლექცია-სემინარები ბაკალავრიატის საფეხურის კურსების დონეზე.

პროგრამის კურსის შინაარსი, მნიშვნელობა და მიზანი შეესაბამება მიმდინარე საჭიროებებს. დოქტორანტი სტუდენტები მართავენ/ხელმძღვანელობენ უნივერსიტეტის კვლევით პროექტებს

და იღებენ ანაზღაურებას. ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ სწავლა სადოქტორო საფეხურზე არის უფასო.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- ✓ საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში, მასზე თანდართული დოკუმენტები (შიდა მარეგულირებელი აქტები და რეგულაციები)
- ✓ სილაბუსები;
- ✓ ილია სახელმწიფო უნივერსიტეტის პროგრამები;
- ✓ სააკრედიტაციო ვიზიტის შედეგების შესახებ ინფორმაცია.
- ✓ ვებ გვერდი [www.sdasu.edu.ge](http://www.sdasu.edu.ge)

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

კლასტერის საერთო რჩევები:

**რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:**

პროგრამა 1 (ისტორიის საბაკალავრო პროგრამა)

რეკომენდაციები:

რჩევები:

პროგრამა 2 (არქეოლოგიის საბაკალავრო პროგრამა)

რეკომენდაციები:

რჩევები:

პროგრამა 3 (არქეოლოგიის სამაგისტრო პროგრამა)

რეკომენდაციები:

რჩევები:

პროგრამა 4 (თანამედროვე საქართველოს ისტორიის სამაგისტრო პროგრამა)

რეკომენდაციები:

რჩევები:

პროგრამა 5 (შუა საუკუნეების კვლევების სამაგისტრო პროგრამა)

რეკომენდაციები:

რჩევები:

პროგრამა 6 (ისტორიის სადოქტორო პროგრამა)

რეკომენდაციები:

რჩევები:

პროგრამა 7 (არქეოლოგიის სადოქტორო პროგრამა)

რეკომენდაციები:

**რჩევები:**

**შეფასება**

სტანდარტი 3.1 - სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები:	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შესაბამისობაშია მოთხოვნებს
პროგრამა 1 (ისტორია, საბაკალავრო პროგრამა)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2 (არქეოლოგია, საბაკალავრო პროგრამა)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 3 (არქეოლოგია, სამაგისტრო პროგრამა)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 4 (თანამედროვე საქართველოს ისტორია, სამაგისტრო პროგრამა)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 5 (შუა საუკუნეების კვლევები, სამაგისტრო პროგრამა)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 6 (ისტორია, სადოქტორო პროგრამა)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 7 (არქეოლოგია, სადოქტორო პროგრამა)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

**3.2. მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა**

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი (შემდგომში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება/უნივერსიტეტი) და სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების შესწავლის და განვითარების შედეგად, შეინიშნება შემდეგი პირობები:

პროგრამის განხორციელებაში, მართვასა და კვლევის ზედამხედველობაში შესაბამისი აკადემიური გამოცდილების მქონე პირები მონაწილეობენ, რაც დასტურდება შესაბამისი რაოდენობის და ხარისხის აკადემიური ნაშრომებით კონკრეტულ სფეროში.

დოქტორანტებისა და დოქტორანტთა ხელმძღვანელების თანაფარდობა განისაზღვრება შიდა მარეგულირებელი აქტებით და თითოეულ აკადემიურ სემესტრში, ერთი პროფესორი შეიძლება ხელმძღვანელობდეს მაქსიმუმ 5 სტუდენტს.

რაოდენობრივი თანაფარდობა სტუდენტებს, რომლებიც მიიღებიან ყოველწლიურად კლასტერში დაჯგუფებულ პროგრამებზე და პროგრამაში ჩართულ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის:

- ✓ არქეოლოგია - 12-15 სტუდენტი;
- ✓ თანამედროვე საქართველოს ისტორია - 7-10 სტუდენტი
- ✓ შუა საუკუნეების კვლევები - 15 სტუდენტი

- ✓ თანამედროვე საქართველოს ისტორიის სამაგისტრო პროგრამა - სულ 15 აკადემიური და მოწვეული პერსონალია ჩართული'
- ✓ არქეოლოგიის სამაგისტრო პროგრამა - 15 აკადემიური და მოწვეული პერსონალი;
- ✓ შუა საუკუნეების სამაგისტრო პროგრამა - 21 აკადემიური და მოწვეული პერსონალი.

ყოველ წელს 5 ვაკანტური ადგილი ცხადდება სამაგისტრო პროგრამებზე. 19 აკადემიური პერსონალი ხელმძღვანელობს ისტორიის მიმართულებით სადოქტორო ნაშრომებს და 11 აკადემიური პერსონალი ხელმძღვანელობს სადოქტორო ნაშრომებს არქეოლოგიის სადოქტორო პროგრამაზე.

ხელმძღვანელისა და საკითხის არჩევა არის გამჭვირვალე და მოქნილი პროცესი სტუდენტებისთვის და ეფუძნება სტუდენტთა ინტერესს, საჭიროებებსა და სურვილებს.

უნივერსიტეტმა შეიმუშავა სადოქტორო და სამაგისტრო თეზისების მომზადებისა და დაცვის წესი, რომელიც განსაზღვრავს ხელმძღვანელის უფლებებსა და პასუხისმგებლობებს და ხელმძღვანელობის პროცესს.

უნივერსიტეტის შიდა მარეგულირებელი აქტები მოიცავს თეზისის შესრულების წესებს, ხელმძღვანელის პასუხისმგებლობებს და ასევე, ხელმძღვანელობის პროცესის თანმიმდევრობას.

სტუდენტებთან გასაუბრების პროცესში, ნათელი გახდა, რომ სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების საგნები მიმართულია სწავლის მიზნების მიღწევაზე, მაღალი დონის სადისერტაციო ნაშრომების დაცვაზე, რომლებიც ახალ გამოწვევებს პასუხობენ და გამოირჩევიან უმაღლესი აკადემიური და შინაარსობრივი სტილით.

